განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №3*

**შპს მედსქილ ედუს ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი

**წევრები:**

შალვა ზაზაძე

ია გელენიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს მედსქილ ედუ

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406550370

სახე:

- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

**დაწესებულების ავტორიზაცია**

- ☒ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)
- ☐ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 4 ივნისის №672868 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მედსკილ ედუში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 24, 25 და 26 ივნისს განხორციელდა ვიზიტი შპს მედსკილ ედუში (მის: ქ. თბილისი, ბოჭორმას ქუჩა N16, ც. დადიანის ქუჩა N30.). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. განხორცეილდა ვიზიტები პრაქტიკის ობიექტზე. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

## III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

| პროგრამის სახელწოდება | პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| საექთნო განათლება | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ქ. თბილისი; ბოჭორმას ქუჩა N16, ც.დადიანის ქუჩა N30 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

## V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები**
**I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 1.1) პსდ-ს მისია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **4) ადამიანური რესურსები** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | ☐ **შეესაბამება**<br>■ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☐ **შეესაბამება**<br>■ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.3) ფინანსური რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **საექთნო განათლება** | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

**5.1.1 1.კოლეჯს წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შპს „მედსქილ ედუს“ დირექტორის 2026 წლის 04 მაისის N 30 ბრძანებით (ცვლილება 24.06.2026 N44). შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, კოლეჯი არაუგვიანეს 2026 წლის 01 (პირველი) ოქტომბრისა უზრუნველყოფს მიმდინარე სარემონტო სამუშაობის დასრულებასა და მატერიალური რესურსით აღჭურვას და შეძენილი მატერიალური რესურსის განთავსებას აუდიტორიებში. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ინდიკატორებსა და ვადებს და რეალისტურად მიიჩნევს აღნიშნულ ვადებში სამუშაოების დასრულებას და სივრცეების სრულყოფილად აღჭურვას.**

***ზემოაღნიშნულის გათვლისწინებით, ექსპერტთა შეფასებისთ, ინდიკატორის მოთხოვნდა მეტწილად შესაბამისია.***

3.დაწესებულების ბოჭორმას ქუჩა N16 -ის მისამართზე სრულად მოწყობილია სანიტარული კვანძები,მათ შორის შშპ პირისათვის. გამიჯნულია ქალისა და მამაკაცის კაბინები. რაც შეეხება დადიანის მისამართზე არსებულ ფართს, აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, კვანძები გამიჯნული იყო, თუმცა სარემონტო სამუშაოები არ იყო დასრულებული. შპს "მედსქილ ედუ"-ს სარგებლობაში არსებულ შენობაში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უსაფრთოხებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს "ედუ მენეჯმენტ"-თან (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული კომპანია საიდენტიფიკაციო ნომრით:405644557). აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს "ედუ მენეჯმენტი" უზრუნველყოფს ფართის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებით უზრუნველყოფას, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

**დაწესებულების მიერ ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, გეგმაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს და სრულად აღჭურვავდა ორივე მისამართზე არსებულ სასწავლო სივრცეს, თუმცა 5.1.1 კომპონენტთან მიმართებით მითითებული იყო მხოლოდ პირველი ინდიკატორი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მათი განმარტებით, გეგმა თავიდანვე სრულად მოიცავდა 5.1.1 კომპონენტს, რაც მისი შინაარსობრივი ნაწილიდანაც იკვეთებოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რომელშიც აღმოფხვრილია ტექნიკური უზუსტობა და ნათლად არის ასახული, რომ გეგმა სრულად მოიცავს 5.1.1 კომპონენტის ყველა შესაბამის ინდიკატორს.

კორექტირებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება არაუგვიანეს განსაზღვრული ვადისა უზრუნველყოფს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებას, მატერიალური რესურსებით სრულყოფილ აღჭურვას (მათ შორის, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობას), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეებში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების ნორმების დაცვის მექანიზმების დანერგვას, ასევე, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ გამოვლენილი უზუსტობა ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ ახდენდა გავლენას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შინაარსზე. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშით, გასაუბრების პროცესში მიღებული განმარტებებითა და წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასტურდებოდა დაწესებულების მზაობა, განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები დადგენილ ვადებში. შესაბამისად, კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

4.დაწესებულების ბოჭორმას ქუჩა N16 -ის მისამართზე სრულად მოწყობილია გათბოზობისა და გაგრილების სისტემა, ადგილზე ვიზიტის დროს, წარმოდგენილ იქნება კომუნალური ხარჯების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. რაც შეეხება დადიანის მისამართს, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და  გათბობის სისტემის მონტაჟი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით,  დაწესებულებამ უნდა განახორციელოს სარემონტო სამუშაოები და სრულად აღჭურვოს ორივე მისამართზე არსებული ფართი. დაწესებულების მიერ ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, გეგმაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს და სრულად აღჭურვავდა ორივე მისამართზე არსებულ სასწავლო სივრცეს, თუმცა 5.1.1 კომპონენტთან მიმართებით მითითებული იყო მხოლოდ პირველი ინდიკატორი.

გასაუბრების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მათი განმარტებით, გეგმა თავიდანვე სრულად მოიცავდა 5.1.1 კომპონენტს, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისი შინაარსობრივი ნაწილიდანაც იკვეთებოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რომელშიც აღმოფხვრილია ტექნიკური უზუსტობა და ნათლად არის ასახული, რომ გეგმა სრულად მოიცავს 5.1.1 კომპონენტის ყველა შესაბამის ინდიკატორს.

კორექტირებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება არაუგვიანეს განსაზღვრული ვადისა უზრუნველყოფს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებას, მატერიალური რესურსებით სრულყოფილ აღჭურვას (მათ შორის, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობას), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეებში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების ნორმების დაცვის მექანიზმების დანერგვას, ასევე, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ გამოვლენილი უზუსტობა ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ ახდენდა გავლენას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შინაარსზე. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშით, გასაუბრების პროცესში მიღებული განმარტებებითა და წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასტურდებოდა დაწესებულების მზაობა, განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები დადგენილ ვადებში. შესაბამისად, კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

5.კოლეჯს აღნიშნული ინდიკატოთან მიმართებით წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის შესაბამისადაც კოლეჯში არაუგვიანეს 2026 წლის 01 ოქტომბრისა გეგმავდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვას.

ექსპერტთა ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა 2026 წლის 1 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება შპს **„ეიჩეს კონსალტინგთან“** , სადაც კომპანია კისრულობს ვალდებულებას კოლეჯის ორივე მისამართზე უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების შემდეგი მეზანიზმების აღსრულებას :

✓ ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების აუდიტი;
✓ რისკების შეფასება და მაკორექტირებელი ღონისძიებების განსაზღვრა
✓ ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება (პოლიტიკა, პროცედურები / ინსტრუქტაჟები,
სამუშაო ჟურნალები და ა.შ)
✓ შიდა ტრენინგის ჩატარება
✓ პერიოდული ინსპექტირება და რისკების შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და გეგმა, ასევე ჩასატარებელი ინსტუქტაჟებისა და სწავლებების ჟურნალები და წესები. როგორც აღნიშულიდან ჩანს, დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს შრომის უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვა, გაფორმებულია ხელშეკრულება და მომზადებულია შესაბმისი დოკუმენტაცია. თუმცა, ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო ჩატარებული პერსონალის სწავლება, არ იყო შეფასებული რისკები და საფრთეები. ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ არ იყო დასრულებული შრომის უსაფრთხოების მექანიზმების დანერგის პროცესი და შეაფასა როგორც **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.**

8.კოლეჯის ბოჭორმას მისამართზე შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის, რაც შეეხება დადიანის მისამართს, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, კვანძები გამიჯნულია თუმცა, არ იყოს მოწყობილი შესაბამისად.დაწესებულების მიერ ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, გეგმაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს და სრულად აღჭურვავდა ორივე მისამართზე არსებულ სასწავლო სივრცეს, თუმცა 5.1.1 კომპონენტთან მიმართებით მითითებული იყო მხოლოდ პირველი ინდიკატორი.

გასაუბრების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მათი განმარტებით, გეგმა თავიდანვე სრულად მოიცავდა 5.1.1 კომპონენტს, რაც მისი შინაარსობრივი ნაწილიდანაც იკვეთებოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რომელშიც აღმოფხვრილია ტექნიკური უზუსტობა და ნათლად არის ასახული, რომ გეგმა სრულად მოიცავს 5.1.1 კომპონენტის ყველა შესაბამის ინდიკატორს.

კორექტირებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება არაუგვიანეს განსაზღვრული ვადისა უზრუნველყოფს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებას, მატერიალური რესურსებით სრულყოფილ აღჭურვას (მათ შორის, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობას), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეებში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების ნორმების დაცვის მექანიზმების დანერგვას, ასევე, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ გამოვლენილი უზუსტობა ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ ახდენდა გავლენას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შინაარსზე. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშით, გასაუბრების პროცესში მიღებული განმარტებებითა და წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასტურდებოდა დაწესებულების მზაობა, განახორციელოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმილი აქტივობები დადგენილ ვადებში. შესაბამისად, კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

9. კოლეჯის ბოჭორმას მისამართზე ყველა სასწავლო ფართს და რესურს ცენტრ (ბიბლიოთეკას) აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, თუმცა რაც შეეხება დადიანის მისამართს, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ბიბლიოთეკა არ იყოს მოწყობილი შესაბამისად. დაწესებულების მიერ ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, გეგმაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს და სრულად აღჭურვავდა ორივე მისამართზე არსებულ სასწავლო სივრცეს, თუმცა 5.1.1 კომპონენტთან მიმართებით მითითებული იყო მხოლოდ პირველი ინდიკატორი.

გასაუბრების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მათი განმარტებით, გეგმა თავიდანვე სრულად მოიცავდა 5.1.1 კომპონენტს, რაც მისი შინაარსობრივი ნაწილიდანაც იკვეთებოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რომელშიც აღმოფხვრილია ტექნიკური უზუსტობა და ნათლად არის ასახული, რომ გეგმა სრულად მოიცავს 5.1.1 კომპონენტის ყველა შესაბამის ინდიკატორს.

კორექტირებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება არაუგვიანეს განსაზღვრული ვადისა უზრუნველყოფს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებას, მატერიალური რესურსებით სრულყოფილ აღჭურვას (მათ შორის, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობას), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეებში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების ნორმების დაცვის მექანიზმების დანერგვას, ასევე, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ გამოვლენილი უზუსტობა ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ ახდენდა გავლენას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შინაარსზე. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშით, გასაუბრების პროცესში მიღებული განმარტებებითა და წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასტურდებოდა დაწესებულების მზაობა, განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები დადგენილ ვადებში. შესაბამისად, კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10. კოლეჯის ბოჭორმას მისამართზე სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, თუმცა რაც შეეხება დადიანის მისამართს, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, კვანძები გამიჯნულია თუმცა, არ იყოს მოწყობილი შესაბამისად. **დაწესებულების მიერ ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, გეგმაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს და სრულად აღჭურვავდა ორივე მისამართზე არსებულ სასწავლო სივრცეს, თუმცა 5.1.1 კომპონენტთან მიმართებით მითითებული იყო მხოლოდ პირველი ინდიკატორი.**

**გასაუბრების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მათი განმარტებით, გეგმა თავიდანვე სრულად მოიცავდა 5.1.1 კომპონენტს, რაც მისი შინაარსობრივი ნაწილიდანაც იკვეთებოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რომელშიც აღმოფხვრილია ტექნიკური უზუსტობა და ნათლად არის ასახული, რომ გეგმა სრულად მოიცავს 5.1.1 კომპონენტის ყველა შესაბამის ინდიკატორს.**

**კორექტირებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება არაუგვიანეს განსაზღვრული ვადისა უზრუნველყოფს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებას, მატერიალური რესურსებით სრულყოფილ აღჭურვას (მათ შორის, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობას), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეებში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების ნორმების დაცვის მექანიზმების დანერგვას, ასევე, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.**

**ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ გამოვლენილი უზუსტობა ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ ახდენდა გავლენას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შინაარსზე. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშით, გასაუბრების პროცესში მიღებული განმარტებებითა და წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასტურდებოდა დაწესებულების მზაობა, განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები დადგენილ ვადებში. შესაბამისად, კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.**

5.1.2

1.დაწესებულება უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს, რომელიც დაცულია, როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით. ქ.თბილისში, ბოჭორმის N16-ში წარმოდგენილია შპს „ოპტიმუსი"-ის ექსპერტიზის დასკვნა, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვითაც შენობის ტექნიკური მდგომარეობა დაკმაყოფილებულია. კონსტრუქციული ნაწილი შესაბამისობაშია არსებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან და ქვეყანაში არსებულ ნორმატიული აქტებით, მათ შორის სეისმური ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, რაც განაპირობებს შენობის შედგომ მდგრადობას და საიმედოობას;

ც. დადიანის N 30-ში არსებულ მისამართზე კოლეჯს წარმოდგენილი აქვს: შენობის უსაფრთხოების შესახებ – შპს "ექსპერტიზას" მიერ ჩატარებული შემოწმების დასკვნა, რომლის თანახმადაც, დაწესებულების მიერ დაკავებული ფართები (ქ. თბილისი; ცოტნე დადიანის N30; ს/კ 01.12.12.033.044)დღეის მდგომარეობით, ტექნიკურად მდგრადია, ხოლო სესმომედეგობა შეესაბამება საქართველოში მოქმედ ნორმატიული დოკუმენტებით გათვალსწინებულ სამშენებლო წესებსა და მოთხოვნებს.

რაც შეეხება, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დასკვნას, კოლეჯს წარმოდგენილი აქვს შპს „მედსქილ ედუს" დირექტორის 2026 წლის 04 მაისის N30 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (ცვლილება - N44. 24/06/2026), რომლის თანახმადაც, დაწესებულება არაუგვიანეს 2026 წლის 01 ოქტომბრისა უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენას, როგორც ბოჭორმას N16-ში მდებარე სასწავლო მისამართისთვის, ასევე, ც.დადიანის N30-ში მდებარე მისამართისთვის. შესაბამისობის გეგმა გაწესილია 5 თვის ვადაზე, მოცემულია აქტივობები, ჩართული და პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს აღნიშნულ გეგმას და რეალისტურად მიიჩნევს დარვეზის აღმოფხვრას.ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2.შპს "მედსქილ ედუს" დირექტორის ბრძანება N19. 24/04/2026 დამტკიცებულია "პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესი", რომელიც არეგულირებს, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უსაფრთოხებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. კოლეჯში არსებობს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების აღსრულებისათვის დაწესებულებას განსაზღვრული ჰაყვს ორი პირი. ხელშკეკრულებაში დაზუსტებულია სამუშაო ადგილი. ბოჭორმას და დადიანის მისამართებზე. ასევე, დამტკიცებულია, სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა და სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, რომელიც ივსება საჭირეობის შემთხვევაში.

3. აღნიშნული ინდიატორის ფარგლებში დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს „მედსქილ ედუს" დირექტორის 2026 წლის 04 მაისის N 30 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, კოლეჯი უზრუნველყოფს არაუგვიანეს 2026 წლის 01 ოქტომბრისა, შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა კომპეტენტურ ორგანოსთან. შესაბამისობის გეგმა გაწესილია 5 თვის ვადაზე, მოცემულია აქტივობები, ჩართული და პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს აღნიშნულ გეგმას და რეალისტურად მიიჩნევს დარვეზის აღმოფხვრას.ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.1 1. დაწესებულების მიერ ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, გეგმაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს და სრულად აღჭურვავდა ორივე მისამართზე არსებულ სასწავლო სივრცეს, თუმცა 5.2.1 კომპონენტის შესაბამისი ინდიკატორი შესაბამისობის გეგმაში არ იყო ასახული. აღსანიშნავია, რომ 5.2. კომპონენტი კოლეჯის მიერ თავდაპირველადაც შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

გასაუბრების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მათი განმარტებით, ვინაიდან 5.1.1 კომპონენტში უკვე აღწერილი იყო ინფრასტრუქტურის მოწყობის, სარემონტო სამუშაოების დასრულებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის ღონისძიებები, 5.2.1 კომპონენტის შესაბამისი ინდიკატორის ცალკე მითითება ტექნიკური მიზეზით გამორჩათ.

აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რომელშიც აღმოფხვრილია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი და მკაფიოდ არის ასახული, რომ გეგმა სრულად მოიცავს როგორც 5.2.1, ისე 5.2.2 კომპონენტების შესაბამის ინდიკატორებს.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ გამოვლენილი უზუსტობა ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ ახდენდა გავლენას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შინაარსსა და დაწესებულების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშით, გასაუბრების პროცესში მიღებული განმარტებებითა და წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასტურდებოდა დაწესებულების მზაობა, უზრუნველეყო შესაბამისი აქტივობების განახორციელებს დადგენილ ვადებში. შესაბამისად, კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია.

5.2.2. 2. კოლეჯის „საქმისწარმოების წესი“ ითვალისწინებს როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში დოკუმენტბრუნვის განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მიმდინარე ეტაპზე დაწესებულება საქმისწარმოებას ძირითადად მატერიალური ფორმით ახორციელებს, თუმცა წარმოდგენილია დირექტორის 2026 წლის 4 მაისის №30 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის თანახმადაც დაწესებულება არაუგვიანეს 2026 წლის 1 ოქტომბრისა დანერგავს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას (E-flow). ამასთან, დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ ელექტრონული სისტემის ამოქმედების შემდეგ შემოსული კორესპონდენცია რეგისტრირდება E-flow სისტემაში, ხოლო მატერიალური ფორმით მიღებული დოკუმენტები სისტემაში აიტვირთება შესაბამისი პროცედურის დაცვით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დოკუმენტების ერთიან აღრიცხვას, კვალვადობასა და ეფექტიან მართვას. პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა არა E-flow სისტემის პრაქტიკული გამოყენება, არამედ მისი დანერგვისთვის არსებული სამართლებრივი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ორგანიზაციული და დროითი წინაპირობები. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ადასტურებს, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კონკრეტული ვადები და ღონისძიებები ელექტრონული საქმისწარმოების სრულფასოვნადდანერგვისთვის.ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს აღნიშნულ ვადაში არსებული შესაბამობის აღმოფხვრას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

*2.2.1 1.* 1. შპს "მედსქილ ედუს" დირექტორის ბრძანებით N 30 04/05/2026 დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის შესაბამისადაც დაწესებულება არაუგვიანეს 2026 წლის 01(პირველი) ოქტომბრისა, უზურნველყოფს პროგრამისათვის განსაზღვრული აუდიტორიების აღჭურვას შესაბამისი რესურსით ორივე მისამართზე.

## V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*არ გამოვლენილა*

## VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითარგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და დასკვნის პროექტში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს.*

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

   1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

   1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

   1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1.შპს „მედსქილ ედუს" მისიაა -მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სამედიცინო პერსონალის მომზადება ინოვაციური, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების გზით. კოლეჯი მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სისტემაში მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის კარიერულ ზრდასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კეთილდღეობაზე." კოლეჯის მისია ორიენტირებულია ჯანდაცვის სფეროსთვის კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი პროფესიული კადრების მომზადებაზე. კოლეჯის მისია ეფუძნება პროფესიული განათლების მიზნებს და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტისათვის ცოდნის, პრაქტიკული კომპეტენციებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარებას. დაწესებულება საკუთარ საგანმანათლებლო საქმიანობას უკავშირებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ჯანდაცვის სექტორის საჭიროებებს. მისიის შინაარსიდან იკვეთება, რომ კოლეჯი ორიენტირებულია პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებაზე, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობასა და დასაქმებაზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადებაზე. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მისია შესაბამისობაშია პროფესიული განათლების მიზნებთან და ქმნის საფუძველს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შპს „მედსქილ ედუს" მისიისა და სტრატეგიული დოკუმენტებით მკაფიოდ აქვს განსაზღვრული საქმიანობის ძირითადი მიმართულება — ჯანდაცვის სფერო. კოლეჯი საკუთარ როლს პროფესიული განათლების სივრცეში განიხილავს როგორც დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს დარგობრივად ორიენტირებული, პრაქტიკული კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას. მისიით განსაზღვრული მიმართულებები შეესაბამება კოლეჯის პროფილს და ასახავს დაწესებულების განსხვავებულ მახასიათებლებს — კერძოდ, სამედიცინო მიმართულებაზე ფოკუსირებას, პრაქტიკული სწავლების გაძლიერებასა და თანამედროვე მიდგომების გამოყენებას. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განვითარების ხედვა და შესაბამისი დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ კოლეჯს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი პროფესიული განათლების სისტემაში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ[illegible]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შპს „მედსქილ ედუს“ კოლეჯის ხედვა გამომდინარეობს მისიით განსაზღვრული მიზნებიდან და წარმოადგენს დაწესებულების განვითარების გრძელვადიან მიმართულებას. კოლეჯის ხედვა ორიენტირებულია თანამედროვე სამედიცინო პროფესიული განათლების ცენტრად ჩამოყალიბებაზე, ინოვაციური მიდგომების დანერგვასა და შესაბამის სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერებაზე. დაწესებულების მიერ განსაზღვრული ღირებულებები — ხარისხი, პროფესიონალიზმი, ეთიკური პასუხისმგებლობა, უწყვეტი განვითარება, ინოვაციურობა, სტუდენტზე ორიენტირებულობა და გუნდურობა — შეესაბამება როგორც პროფესიული განათლების პრინციპებს, ასევე ჯანდაცვის სფეროს სპეციფიკას. აღნიშნული ღირებულებები ქმნის საფუძველს დაწესებულების ინსტიტუციური კულტურისა და სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მისია, ხედვა და ღირებულებები დამტკიცებულია შესაბამისი პროცედურით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია აღნიშნული დოკუმენტების გავრცელების მექანიზმები, მათ შორის ვებგვერდისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით. მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომი სხვადასხვა არხით:

ვებ-გვერდი: კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (https://medskill.ge/);

სოციალური ქსელები: სოციალური ქსელების მთავარ გვერდზე;

ბეჭდური მასალა: დაწესებულების კატალოგში;

შიდა სივრცე: გამოკრულია კოლეჯის შიდა სივრცეში (თვალსაჩინო ადგილზე), რაც უზრუნველყოფს ფიზიკურ ხელმისაწვდომობას.

პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ვერ შეფასდა სტუდენტების მიერ მისიისა და ღირებულებების პრაქტიკული გაზიარების პრაქტიკა. თუმცა დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი ინფორმირების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შემდეგ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „მედსქილ ედუს“ მისია, ხედვა და ღირებულებები;
- შპს „მედსქილ ედუს“ სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ;
- კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება**

**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შპს „მედსქილ ედუს" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოლეჯში შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მარეგულირებელი ჩარჩო. დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №04 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი" განსაზღვრავს დაწესებულებაში სტრატეგიული განვითარების გეგმისა და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს. დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპები, პროცესში ჩართული პირების პასუხისმგებლობები და შეფასების მექანიზმები. აღნიშნული, უზრუნველყოფს კოლეჯის საქმიანობის დაგეგმვას სისტემური მიდგომით და ქმნის საფუძველს დაწესებულების მისიასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი განვითარების მიმართულებების განსაზღვრისთვის. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯს გააჩნია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო მეთოდოლოგიური საფუძველი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შპს „მედსქილ ედუს" სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია თანამონაწილეობითი დაგეგმვის პრინციპების გათვალისწინებით. დირექტორის 2026 წლის 6 აპრილის №03 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა სტრატეგიული განვითარების მიმართულებების განსაზღვრა და შესაბამისი დოკუმენტის მომზადება. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები და მოლოდინები. დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია კოლეჯის საქმიანობის სპეციფიკა, კერძოდ — ჯანდაცვის მიმართულების თავისებურებები, პროფესიული განათლების განვითარების პრიორიტეტები და შრომის ბაზრის მოთხოვნები.

წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს დაწესებულების განვითარების ხედვას და ეფუძნება რეალურ საჭიროებებსა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი განხორციელებულია თანამონაწილეობითი მიდგომით და უზრუნველყოფს დაწესებულების განვითარების მიმართულებების მიზანმიმართულ განსაზღვრას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის შესწავლით დადგინდა, რომ მასში განსაზღვრულია დაწესებულების მისიასთან დაკავშირებული სტრატეგიული მიზნები და შესაბამისი ამოცანები. სტრატეგიულ გეგმაში ასახულია მიზნების განხორციელების პერიოდები, შესრულების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები. სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარეობს წლიური სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია კონკრეტული აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, განხორციელების ვადები და საჭირო რესურსები. პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე შეფასდა არა უკვე განხორციელებული შედეგები, არამედ დაგეგმვის სისტემის არსებობა და მისი განხორციელებისთვის მზადყოფნა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯში დანერგილია მისიასთან თავსებადი დაგეგმვის პრაქტიკა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №04 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“;
- შპს „მედსქილ ედუს“ 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შპს „მედსქილ ედუს“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დირექტორის 2026 წლის 6 აპრილის №03 ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი მასალები (სამუშაო შეხვედრების ოქმები/შეხვედრების ჩანაწერები, );
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.შპს „მედსქილ ედუს“ დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №04 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში“ განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების კონტროლის მექანიზმები. აღნიშნული წესის მიხედვით, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება განსაზღვრული პერიოდულობით, ხოლო სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასება მიმდინარეობს შესაბამის ეტაპებზე. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია: შესრულების ხარისხის შეფასება, არსებული გამოწვევების გამოვლენა, საჭიროების შემთხვევაში გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა. მედსქილი ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს წელიწადში ორჯერ (II და IV კვარტლი), ხოლო შეფასებას - წელიწადში ერთხელ (IV კვარტალი). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სტრატგიული დაგეგმვის პროცესის მფლობელი - ადმინისტრაციული მიმართულების ხელმძღვანელი.
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ორჯერ, სტრატეგიული გეგმის განხორციელების შუალედურ პერიოდში (3,5 წელი) და სტრატეგიული გეგმის დასრულებამდე არანაკლებ 6 თვით ადრე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასების პროცესში ვლინდება ზუსტი საჭიროებები და კოლეჯს საშუალება ეძლევა, საჭიროების შემთხვევაში, დააკორექტიროს მიზნები, ამოცანები, ვადები ან/და შესრულების ინდიკატორები, ხოლო საბოლოო შეფასების ძირითადი მიზანია შემდგომი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისათვის ინფორმაციის უზრუნველყოფა. საბოლოო შეფასება ტარდება სტრატეგიის დასრულებამდე არაუგვიანეს 6 თვისა, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს გამოიყენოს შეფასების შედეგები შემდგომი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის/შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. შეფასების შედეგებს მედსქილი იყენებს კოლეჯის შემდგომი განვითარებისათვის. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის პროცესი აისახება სამუშაო ჯგუფის ოქმში, ხოლო შეფასება ფორმდება ანგარიშის სახით, რომელიც წარედგინება დირექტორს. სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესს კოორდინირებას უწევს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მფლობელი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ის ახორციელებს სამუშაოს გადანაწილებას სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის.

მედსქილი უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ შედიოდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის აქტივობებში. მაგ: წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, გაამდიდროს ინფორმაცია ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ა.შ. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

დაწესებულების მიდგომა შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლურ პრინციპს: დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სამოქმედო გეგმის შეფასების პროცესმა შესაძლოა გამოკვეთოს რიგი გასაუმჯობესებელი საკითხები ან მედსქილში მიმდინარე რომელიმე პროცესის გაუმართაობა. ასეთ შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ინფორმაციას აწვდის ხარისხის მართვის მენეჯერს ან/და შესაბამის პასუხისმგებელ პირს/სტრუქტურულ ერთეულს. იდენტიფიცირებული პრობლემების ან პროცესებში შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ხარისხის მართვის მენეჯერის ჩართულობით შეიმუშავებს გაუმჯობესების რეკომენდაციებს.
ანგარიშის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დადგეს კონკრეტული შემსრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი ან მიღებული იქნას წახალისების გადაწყვეტილება განსაკუთრებით კარგად შესრულებული სამუშაოსათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შპს „მედსქილ ედუს“ სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება დაწესებულების ოფიციალური საინფორმაციო არხების საშუალებით. პირველადი ავტორიზაციის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულების მიერ შექმნილი პროცედურები და აღნიშნული პროცესების განხორციელებისთვის არსებული მზაობა. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმის არსებობა. ასევე, კოლეჯმა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარებისთვის შესაძლოა, გამოიყენოს შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; კოლეჯის სოციალური მედია ; საჯარო ღონისძიებები; ბეჭდვითი მასალები (ფლაერები, ბანერები და ა.შ.); ელექტრონული პლატფორმები (ZOOM, TEAMS და სხვ.)სხვა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №04 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“;
- სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების მექანიზმი;
- დირექტორის 2026 წლის აპრილის №08 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები”;
- კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია;
- პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

### 3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.**.შპს „მედსქილ ედუს“ მიერ შემუშავებულია პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მარეგულირებელი მექანიზმები. დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №07 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ დოკუმენტში გაწერილია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, სტატუსის შეწყვეტის და სტატუსის აღდგენის პროცედურები, პროფესიული სტუდენტის მობილობის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის, ფორმალური განათლების აღიარების, სსსმ/შშმ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები. ასევე, აღნიშნული წესი არგულირებს, სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში, ვინაიდან პროფესიული სტუდენტების მიღება ჯერ არ განხორციელებულა, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა აღნიშნული რეგულაციების არსებობა და მათი პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობა. დაწესებულებას გააჩნია პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვისთვის საჭირო სამართლებრივი და ადმინისტრაციული საფუძველი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტების ინფორმირების მექანიზმები. „სასწავლო პროცესის მართვის წესით" გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების ინფორმირება სასწავლო პროცესის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, არსებული მომსახურებებისა და ინტერესების დაცვის პროცედურების შესახებ. დაწესებულება გეგმავს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის დაწყების ეტაპზე, საორიენტაციო შეხვედრებისა და პასუხისმგებელი პირების ჩართულობის გზით.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** კოლეჯის დირექტორის ბრძანება N 07. 24/04/2026 დამტკიცებულია "სასწავლო პროცესის მართვა", რომელიც მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასებისა და გასაჩივრების მექანიზმებს. მოცემული დოკუმენტის შესაბამისად, მოდულის განმახორციელებლი პირი/პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია, შეფასების პრინციპების შესახებ წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტებს. ასევე, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალდებულია, შეფასების თარიღის დადგომამდე გონივრულ ვადაში მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია, შეფასების ჩატარების თარიღის შესახებ.
შეფასების შედეგებს (სწავლის შედეგი დადასტურდა/სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა) სასწავლო პროცესის მენეჯერი შესაფასებელ პირს აცნობებს ინდივიდუალურად გონივრულ ვადაში, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებელი აწვდის უკუკავშირს, პროფესიულ სტუდენტს, მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს განმეორებითი შეფასებით 10 სამუშაო დღის განმავლობაში. თუ მოდული მოდულზე დაშვების წინაპირობაა, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები. განმეორებით შეფასებაზე უარყოფითი შედეგის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს დირექციას და მოითხოვოს დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურება პროგრამის დასრულებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა (30 კალენდარული დღე) სხვა შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტს ვერ მიენიჭება შესაბამისის კვალიფიკაცია.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასებასთან დაკავშირებული საკითხებიდან გაასაჩივროს ორი კომპონენტი: ა. შეფასების ობიექტურობა და მიღებული შედეგი; ბ. შეფასების პროცედურა.
შეფასების გასაჩივრება შესაძლებელია წერილობითი ფორმით, პროფესიული მასწავლებლის მიერ პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. შეფასების ობიექტურობისა და მიღებული შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში, საჩივარი გადაეცემა შემფასებელ პროფესიულ მასწავლებელს, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს გასაცნობად და განსახილველად, საჩივრის განხილვის შემდეგ, მასწავლებლის მიერ სტუდენტისთვის არასასურველი შედეგისა და დაუსაბუთებელი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი უფლებამოსილია, საჩივარი გადასცეს შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე სხვა პროფესიულ მასწავლებელს ან კომისიას, რომელიც განიხილავს არსებული შეფასების ობიექტურობას. შეფასების პროცედურასთან დაკავშირებული საჩივრის განხილვისათვის კი, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით განხილვის შესახებ. საჩივრის კომისიური წესით განხილვის შემთხვევაში, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.
შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი ან/და კომისია წერილობით საჩივარს განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში.
პროფესიული განათლების მასწავლებელი ან/და კომისია ვალდებულია შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა, აღნიშნულის შემდგომ იგი უფლებამოსილია შეფასება შეცვალოს ან დატოვოს ძალაში, თუ სტუდენტის საჩივარი უსაფუძვლოა. საჩივრის დაკმაყოფილების შემთვევაში, შეფასების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი კოლეჯის დირექტორის თანხმობით ცვლის მიღებულ შეფასებას. საჩივრის განხილვის შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.
კომისიის ან/და პროფესიული მასწავლებლის გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე სტუდენტების მიერ აღნიშნული მექანიზმების გამოყენების შეფასება შეუძლებელია, თუმცა წარმოდგენილი რეგულაციები უზრუნველყოფს მომავალში მათი ინფორმირების შესაძლებლობას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა. ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის პირობები და დაწესებულების ვალდებულებები სტუდენტის მიმართ. დოკუმენტში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის ძირითადი პრინციპები. არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმება ითვალისწინებს კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობას. ხელშეკრულების მიხედვით, სტუდენტს უფლება აქვს: ჰქონდეს სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო; მიიღოს აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა; მიიღოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის განათლება; იყოს დაცული ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან; თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე; სწავლების პროცესში ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და სხვა საშუალებებით; მიიღოს ინფორმაცია კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; მოითხოვოს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სამართლიანი შეფასება; დადგენილი წესის შესაბამისად, ისარგებლოს სტუდენტთა მობილობით; საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება სპეციალური კითხვარის მიხედვით.
სტუდენტი ვალდებულია: იცნობდეს კოლეჯის შინაგანაწესს და მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან ერთად განუხრელად იცავდეს მათ; პატივისცემით მოექცეს სტუდენტებს, ლექტორებს და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს; გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას, ხოლო მისი ბრალეული ქმედებით დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი; დაიცვას უსაფრთხოების წესები; ; გაუფრთხილდეს კოლეჯის პრესტიჟს; დროულად აცნობოს კოლეჯს პირად დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაციის ცვლილების შესახებ; დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები. კანონიერი წარმომადგენლი უფლებამოსილია: მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილეთაგან ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; მოსთხოვოს კოლეჯს სტუდენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა; მიიღოს ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური დარღვევების შესახებ და მოითხოვოს მათი კონფიდენციალურობის დაცვა; მიიღოს ინფორმაცია პროფესიული მასწავლებლებისა და კოლეჯის ადმინისტრაციისაგან კოლეჯის ფუნქციონირებასა და სტუდენტთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე; განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები;
კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია: იცნობდეს კოლეჯის შინაგანაწესს და მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან ერთად განუხრელად იცავდეს მათ; რეგულარულად აკონტროლოს სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა და ხელშეკრულებით სტუდენტისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულება; აანაზღაუროს კოლეჯის სტუდენტის მიერ მიყენებული მატერიალური ზიანი; კოლეჯის მხრიდან შეტყობინების მიღებისთანავე გამოეხმაუროს მას და მოთხოვნის შემთხვევაში გამოცხადდეს მოთხოვნილ ადგილზე; კოლეჯის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები; სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის შეუფერხებლად ათვისების მიზნით აღმოფხვრას მასზე დამოკიდებული ყველა დამაბრკოლებელი გარემოება;საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებიდან გამომდინარე ხელი შეუწყოს კოლეჯსა და სტუდენტს შორის სასწავლო ხელშეკრულების შესრულებას.

სტუდენტსა და კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ხელმოწერილი უნდა იყოს სტუდენტის მიერ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არასრულწლოვანია, აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელს აწერს სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არასრულწლოვანია, წინამდებარე შინაგანაწესით სტუდენტისთვის განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებების ადრესატი ხდება მისი კანონიერი წარმომადგენელი, გარდა ისეთი უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომელიც შინაარსიდან და კონტექსტიდან გამომდინარე, აუცილებლად სტუდენტის შესასრულებელია.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.** კოლეჯის დირექტორის ბრძანება N 07. 24/04/2026 დამტკიცებულია"სასწავლო პროცესის მართვა", რომლის მე-17 და მე-18 მუხლებში გაწერილია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს მაშინ, როდესაც:
ა. გარე მობილობით (სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსული პროფესიული სტუდენტი) ან შიდა მობილობით (კოლეჯის მიერ განხორციელებული ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასული სტუდენტი) სარგებლობის შედეგად პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხება კოლეჯში და მიენიჭება სტუდენტის სტატუსი, თუმცა, მისი სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები კოლეჯის (მიმღები პროგრამის) სწავლის შედეგებისგან;
ბ)საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;
გ) კოლეჯის პროფესიული სტუდენტი, რომელსაც მიენიჭა სსსმ ან შშმ პირის სტატუსი და ვერ აღწევს სწავლის შედეგებს. სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, საჭიროებს მასზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
დ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში ან პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად;
ე) ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულია სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამისი პროფესიული მასწავლებელი/მასწავლებლები ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული სტუდენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (საჭიროების შემთხვევაში).
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №07 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესი";
- პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა;
- სტუდენტის უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტები;
- პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (N 07. 24/04/2026) დამტკიცებულია "სასწავლო პროცესის მართვის წესი", რომლის 35-ე მუხლით გაზღვრულია, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მექანიზმები. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, შპს „მედსქილ ედუ" განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, როგორც, სწავლის დაწყებამდე, ასევე სწავლის პროცესში და მისი დასრულების შემდგომ. პროფესიული განათლების მიღების პროცესში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მუდმივ მხარდაჭრას, მიაწვდის სტუდენტებს ხარისხიან განათლებას და შეუქმნის უსაფრთხო გარემოს. კოლეჯის ადმინისტრაცული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან ხელი შეუწყონ სტუდენტებს, როგორც პროფესიული განათლების მიღების პროცესში, ასევე, შექმნან შესაბამისი გარემო მათი კვალიფიკაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. დაწესებულება იღებს ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს პროფესიულ სტუდენტს ნებისმიერი სახის, მათ შორის ტექნიკური დახმარება, ასისტირება და მენტორინგი სასწავლო პროცესთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ კონსულტირებას, მათი საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.
აღნიშნული მექანიზმის გათვალისწინებით, შპს "მედსქილ ედუ" განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მარდაჭერას, როგორც ადმინისტრაციული თვალსაზრისით ასევე, მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბების კუთხით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის "სასწავლო პროცესის მართვის წესი" არეგულირებს, პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და მათთვის კომფორტული და სასიამოვნო გარემოს შექმნის საკითხებს. შპს „მედსქილ ედუ" ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, როგორც, სწავლის დაწყებამდე, ასევე სწავლის პროცესში და მისი დასრულების შემდგომ.
პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, კოლეჯი აწყობს გაცნობითი სახის შეხვედრებს ყოველი ახალი ნაკადის სტუდენტებისთვის. კოლეჯი ამოწმებს, რომ თითოეულ სტუდენტს ჰქონდეს წვდომა კოლეჯის სერვისებზე და აწვდის მათ შემდეგი სახის ინფორმაციას:
ა) კოლეჯის შენობის, გარემოს, ადმინისტრაციის, სერვისებისა და მატერიალური-ტექნიკური ბაზის შესახებ;
ბ) კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
გ) კოლეჯის შიდა ნორმატიული აქტების შესახებ;
დ) პრაქტიკული კომპონენტის გავლისთვის საჭირო პირობების შესახებ და უზრუნველყოფს პრაქტიკის გავლის პერიოდში შასასრულებელი ამოცანების განმარტებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.შპს „მედსქილ ედუს" შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის ადმინისტრაციული მომსახურების მიწოდების პროცედურები. „სასწავლო პროცესის მართვის წესი" აწესრიგებს სტუდენტთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საკითხებს, მათ შორის სასწავლო პროცესის მართვას, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებასა და დოკუმენტაციის წარმოებას. კოლეჯში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები - სასწავლო პროცესის მენეჯერი, კარიერული და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი - რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას და ადმინისტრაციული საკითხების დროულ გადაწყვეტას. დაწესებულების მიერ შექმნილი მექანიზმები უზრუნველყოფს სტუდენტისთვის საჭირო ინფორმაციისა და მომსახურების ხელმისაწვდომობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს "მედსქილ ედუ" ს მიერ შემუშავერბული მექანიზმების შესაბამისად, კოლეჯი აქტიურად უჭერს მხარს და ხელს უწყობს სტუდენტურ ინიციატივებს, რომლებიც მოიცავს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებით აქტივობებს. აღნიშნული ინიციატივები სრულად შეესაბამება კოლეჯის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს. პრიორიტეტულ მიმართულებებს სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების განხორციელებაში წარმოადგენს: საგანმანათლებლო აქტივობები, ინოვაციური პროექტები და შემეცნებითი ღონისძიებები, ასევე არაფორმალური განათლება.სტუდენტური ინიციატივების განხორციელებისათვის საინიციატივო ჯგუფი/ ინიციატორი/ პროფესიული სტუდენტები ერთიანი განცხადებით (წერილობითი ფორმით) მიმართავენ კოლეჯის დირექტორს. განაცხადი უნდა მოიცავდეს იდეის აღწერას, შესრულების ვადებს, ინფორმაციას შემსრულებლების/ჩართული პირების შესახებ, საჭირო რესურსებს, იდეის განხორციელების საჭიროების არგუმენტირებულ დასაბუთებას.

კოლეჯის დირექტორი ან თვითონ იღებს გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად, ან ქმნის განხილვის ჯგუფს, სადაც შესაძლოა შედიოდნენ, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ისე მოწვეული პირები. დირექტორის თანხმობის შემთხვევაში განისაზღვრება ფინანსური და/ან მატერიალურ -ტექნიკური მხარდაჭერის ფორმა, სახე და ზომა, კოლეჯის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში. ინიციატივის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ინიციატორს ეცნობება არგუმენტირებული უარი.

დაფინანსებული ღონისძიების განხორციელების შემდეგ წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის სიაც განისაზღვრება თითოეული ღონისძიებისათვის ინდივიდუალურად.

დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე/განხორციელების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

დაგეგმილი აქტივობები დაანონსებული იქნება სოციალური გვერდისა და ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით .

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.დაწესებულებას დირექტორის N08. 24/04/2026 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომელშიც განსაზღვრულია სხვადასხვა მიმართულებით კვლევების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს პროცესების შეფასებას დაინტერესებული მხარეების მიერ. მათ შორის არის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კვლევა - არის კვლევა, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტებისგან/მსმენელებისგან უკუკავშირის მიღება მათ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: სასწავლო პროცესი, კოლეჯის ინფრასტუქტურა, საგანამანათლებლო პროგრამები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, სტუდენტური სერვისები, ადმინისტარციული პერსონალი და სხვ. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება ეხმარება კოლეჯს გააუმჯობესოს სერვისების ხარისხი, გამოავლინოს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საჭიროებები და დაგეგმოს მათი აღმოფხვრის გზები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №07 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესი“;
- კოლეჯის სტრუქტურა და თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები;
- პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციების აღწერა;
- სტუდენტთა ადაპტაციის/საორიენტაციო შეხვედრების დაგეგმვის მექანიზმი;
- სტუდენტთა კონსულტირების პროცედურები;
- დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №08 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი/ფორმა ;
- პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების განხილვის შედეგად ირკვევა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ორგანიზების მექანიზმი. „სასწავლო პროცესის მართვის წესით“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია კარიერული მხარდაჭერის მომსახურების ფუნქციონირება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის პროფესიული განვითარების, დასაქმებისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით მხარდაჭერის უზრუნველყოფა. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, კარიერული და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულების კოორდინაციას და შესაბამისი მომსახურებების მიწოდებას. პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში, ვინაიდან პროფესიული სტუდენტების მიღება ჯერ არ განხორციელებულა, ვერ შეფასდა მომსახურების პრაქტიკული გამოყენება, თუმცა კოლეჯს გააჩნია აღნიშნული სერვისის განხორციელებისთვის აუცილებელი მარეგულირებელი საფუძველი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის მიერ განსაზღვრული კარიერული მხარდაჭერის მიდგომები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შრომის ბაზრის მოთხოვნების, დასაქმების შესაძლებლობებისა და პროფესიული განვითარების გზების შესახებ. დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ დაწესებულება გეგმავს პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა საინფორმაციო არხის გამოყენებით. კოლეჯის საქმიანობის მიმართულებიდან გამომდინარე, აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სფეროში დასაქმების შესაძლებლობებთან პროფესიული სტუდენტების დასაკავშირებლად. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტებთან კომუნიკაციისა და ინფორმირების მექანიზმები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3 შპს „მედსქილ ედუს" დირექტორის №08 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" - ამ დოკუმენტით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცედურები. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნების, დასაქმების მაჩვენებლებისა და პროფესიული პროგრამების შედეგების შეფასებას. დაგროვილი ინფორმაციის გამოყენება გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების, კარიერული მომსახურებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით. ვინაიდან დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმყოფება პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე და ჯერ არ ჰყავს პროფესიული სტუდენტები/კურსდამთავრებულები, კვლევის განხორციელების შედეგების შეფასება ამ ეტაპზე ვერ მოხდება.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს „მედსქილ ედუს“ დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის N08 ბრძანებით დამტკიცებული „ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები. დაწესებულება ითვალისწინებს კარიერული მომსახურების შეფასებას, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღებას და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესების ციკლის განხორციელებას და კარიერული მხარდაჭერის მომსახურების განვითარებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №07 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესი“;
- დაწესებულების სტრუქტურა და კარიერული მხარდაჭერის მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები;
- დამსაქმებლებთან თანამშრომლობის/ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- კურსდამთავრებულთა/პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის მიღების ფორმები;
- დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №08 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. ადამიანური რესურსები**

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.შპს "მედსქილ ედუს" დირექტორის 24 აპრილის ბრძანება N09 დამტკიცებულია "სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები". აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს "მედსქილში" დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაოს აღწერას დაკავებული პოზიციების შესაბამისად. მედსქილი თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას უზრუნველყოფს ფუნქციური მიმართულებებისა და სტრუქტურული ერთეულების - პირების/სამსახურების მეშვეობით. კოლეჯი უფლებამოსილია კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად გამოიყენოს გარე კონტრაქტორები. კოლეჯის მიერ მუშავებულ ორგანიზაციულ სტრუქტურაში სქემატურად არის მოცემული პერსონალის იერარქია და დაქვემდებარებები. N 02.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

01/04/2026შპს „მედსქილ ედუს“ დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანებით დამტკიცებულია მედსკილის სტრუქტურა, სადაც მკაფიოდ არის გამოყოფილი მიმართულებები და პოზიციები. მედსქილის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად პერსონალს: დირექტორი, აკადემიური მიმართულების ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული მიმართულების ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი, იურისტი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, საქმისწარმოებისა და რეესტრის მენეჯერი, კარიერული და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, LMS საბიბლიოთეკო სერვისების მენეჯერი, IT მენეჯერი, ექიმი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.
სტრუქტურაში მოცემულია ის ფუნქციები, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება თანამშრომლობს ქვეკონტრაქტორ დაწესებულებებთან, ასეთია: პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ფინანსური მართვა, უსაფრთხოებისა და სანიტარულ -ჰიგიენური პირობების მართვა და შრომის უსაფრთხოების მართვა. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ხელშეკრულებები.
დაწესებულების დირექტორი ბრძანებით დამტკიცებულია საშტატო ნუსხა, სადაც მოცემულია პოზიციების დასახელება და პერსონალის რაოდენობა. ვინაიდან დაწესებულება გეგმავს საგანმანათლებლო საქმიანობა განახორციელოს 2 მისამართზე, დაწესებულების მიერ ხელშეკრულებაში დაზუსტებულია მისამართი იმგვარად რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო და სამუშაო პროცესის მიმდინარეობას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.შპს "მედსქილ ედუს" მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც ასახულია კოლეჯის სტრუქტურაშიც. დაწესებულებაში იმგვარადაა დაგეგმილი სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, რომ ხელს უწყობს კოლეჯის მისიის, ხედვისა და მიზნების მიღწევას. მედსქილის ორგანიზაციული სტრუქტურა აერთიანებს აკადემიურ და ადმინისტრაციულ მიმართულებას. აკადემიურ მიმართულებაში შედის: სასწავლო პროცესის მენეჯერი, საქმისწარმოების და რეესტრის მენეჯერი, იურისტი, კარიერული და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, LMS და საბილბიოთეკო სერვისების მენეჯერი, საგანმანათლებლო პერსონალი. ადმინისტრაციულ მიმართულებაში შედის: IT მენეჯერი, ექიმი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. კოლეჯი გარე კონტრაქტორების საშუალებით ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, შრომის უსაფრთხოების მართვას, ფინანსების მართვას, უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მართვას.
ხარისხის მართვის მენეჯერი წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს.
შპს "მედსქილ ედუს" მმართველობითი საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტს წარმოადგენს: დირექტორი. შპს მედსქილ ედუ" თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას უზრუნველყოფს ფუნქციური მიმართულებებისა და სტრუქტურული ერთეულების/ სამსახურების მეშვეობით. კოლეჯი უფლებამოსილია კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად გამოიყენოს პირები ან/და გარე კონტრაქტორები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შპს "მედსქილ ედუს" დებულების შესაბამისად, ხარისხის მართვის მენეჯერი წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. თავისი ფუნქციების განხორციელების პროცესში ხარისხის მართვის მენეჯერი ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.
ხარისხის მართვის მენეჯერის საქმიანობის მიზანია ხარისხის ციკლის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს კოლეჯში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობის და სხვა პროცესების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებს. ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია „სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების" მარეგულირებელი დოკუმენტით. აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით, ხარისხის მართვის მენეჯერს განსაზღვრული აქვს შემდეგი ფუნქცია-მოვალეობები:

- აიდენტიფიცირებს კოლეჯში მიმდინარე პროცესებსა და განსაზღვრავს მათ აღწერებს;
- აფასებს თითოეულ პროცესთან დაკავშირებულ რისკებს;
- ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის წლიურ სამოქმედო გეგმას და წარუდგენს მას კოლეჯის პერსონალსა და ხელმძღვანელობას;
- კოორდინირებას უწევს პროცესების მიმდინარეობის მონიტორინგს და აფასებს მათ ხარისხს; ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს თითოეული პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;
- ქმნის და ნერგავს სხვადასხვა მექანიზმს/ინსტრუმენტს ხარისხის შეფასების მიზნით;
- ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს;
- პასუხისმგებელია ავტორიზაციის და ხარისხის გარე უზრუნველყოფის სხვა მიმართულებებისთვის კოლეჯის მომზადებაზე; პასუხისმგებელია თვითშეფასების განხორციელების პროცესზე;
- აფასებს კოლეჯის შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან, ავლენს გასაუმჯობესებელ მიმართულებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს;
- ახორციელებს კომპეტენციას მიკუთვნებულ კორესპონდენციებზე დროულ რეაგირებას;
- მონაწილეობას იღებს პერსონალისათვის განათლების სფეროში უახლესი საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის პროცესში, უწევს მათ კონსულტაციებს და დახმარებას პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად; საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისა და კოლეჯის მისიის, ხედვისა და მიზნების მიღწევის პროცესში აქტიურად თანამშრომლობს კოლეჯის სხვა პერსონალთან;

შესაბამისად, ხარისხის მართვის მენეჯერის საქმიანობაში არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი რადგან ის ახორციელებს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფასებას სხვადასხვა მეთოდებით, შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს და შემდგომი გაუმჯობესების/ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს "მედსქილ ედუს" -"შინაგანაწესი" (დირექტორის ბრძანება N11. 24/04/2026 );
- შპს "მედსქილ ედუს" "პერსონალის მართვის პოლიტიკა. (დირექტორის ბრძანება N10. 24/04/2024);
- შპს "მედსქილ ედუს" - "დებულება" (დირექტორის ბრძანება N 02. 01/04/2026 )
- შპს "მედსქილ ედუს" "სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებიდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები"(დირექტორის ბრძანება N09. 24/04/2026 )
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიულს შედეგები ადმინისტრაციულ პერსონალთან.

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შპს "მედსქილ ედუ" პერსონალის მართვის პროცესებს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. დაწესებულებაში შემუშავებული და დამტკიცებულია „შპს მედსქილის დებულება, "შინაგანაწესი"; და "პერსონალის მართვის პოლიტიკა", რომელსაც ეფუძნება კოლეჯის პერსონალის მართვის პროცედურები.

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, პერსონალის მართვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მედსქილში ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად და კანონთან, კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობას, ასევე ხელს შეუწყობს მედსქილში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა/შენარჩუნებასა და ისეთი გარემოს ფორმირებას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება.
შპს "მედსქილ ედუ"-ს შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის", „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, კოლეჯის წესდებისა და დებულების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაგანაწესი წარმოადგენს წესების ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს მედსქილში დასაქმებულ პირებთან წარმოშობილ შრომით და მის თანამდევ ურთიერთობებს, მათ შორის და არა მხოლოდ, შრომის დისციპლინას, შრომის უსაფრთხოებას, ორგანიზაციულ ეთიკას, სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ქცევის წესებსა და პროცედურებს.
შინაგანაწესი წარმოადგენს დასაქმებულთან დადებული შრომითი/მომსახურების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
მედსქილი უზრუნველყოფს შინაგანაწესის დასაქმებულთათვის გაცნობას, ხოლო ყველა დასაქმებული ვალდებულია იცნობდეს და იცავდეს კოლეჯის შინაგანაწესს, წესდებას, დებულებას და იმ პოზიციის სამუშაო აღწერილობას, რომელზეც ის არის დასაქმებული.
შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს შინაგანაწესი, რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. დაწესებულებასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შესაძლებელია დადგინდეს შინაგანაწესისგან განსხვავებული პირობები, რომლებიც არ იქნება წინააღმდეგობაში შინაგანაწესის ძირითად პრინციპებთან.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია "პერსონალის მართვის პოლიტიკა.", რომლის მიზნსაც წარმოადგენს, პერსონალის მართვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მედსქილში ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად და კანონთან, კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობას, ასევე ხელს შეუწყობს მედსქილში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა/შენარჩუნებასა და ისეთი გარემოს ფორმირებას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, კოლეჯი ადამიანური რესურსის მოზიდვისთვის იყენებს შემდეგ წყაროებს: პერსონალის მოზიდვის შიდა წყარო, პერსონალის მოზიდვის გარე წყარო. პერსონალის მოზიდვა ასევე შესაძლებელია კოლეჯში დასაქმებული პერსონალის მიერ გაცემული/მოძიებული რეკომენდაციების საფუძველზე.
მედსქილი ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას.
მედსქილი პერსონალის მოსაზიდად მიმართავს სხვადასახვა ფორმებს: ვაკანსიების განთავსება დასაქმების სხვადასხვა პლატფორმაზე, სოციალურ ქსელებსა და კოლეჯის ვებ-გვერდზე.
კოლეჯში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ობიექტურობა – შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში თამშრომლები მიიღებიან პირდაპირი დანიშვნის გზით (კონკურის გარეშე ზეპირსიტყვიერი/წერილობითი (ღია/დახურული)რეკომენდაციის საფუძველზე) ან კონკურსის საფუძველზე. შერჩევის წესს, ფორმას და პირობებს (რომელიც ასევე მოიცავს საჭიროებისამებრ, შერჩევის კომისიის განსაზღვრას) ვაკანსიის გამოცხადებამდე, სამუშაოს ანალიზის საფუძველზე, შეიმუშავებს ინიციატორი შესაბამის სტრუტურულ ერთეულთან/სამსახურთან თანამშრომლობით და შესათანხმებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. შერჩევის ეტაპზე კანდიდატების შესაფასებლად გამოიყენება ვაკანტური პოზიციისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმები, ისევე როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შერჩევის ეტაპები შეიძლება განსხვავდებოდეს დასაკავებელი პოზიციის სპეციფიკის მიხედვით.
დირექტორის გადაწყვეტილებით პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრული ღია/დახურული კონკურსის ნაცვლად, პირი შესაძლებელია დაინიშნოს ვაკანტურ თანამდებობაზე პირდაპირი გზით. პირდაპირი დანიშვნის გზით პერსონალის შერჩევის დროს, კოლეჯი ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხვონებს და სამუშაო აღწერილობას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია “სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხვონები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეები, ჩატარდა გასაუბრება რის შედეგადაც დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციას. პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკითა და შინაგანაწესის შესაბამისად. პერსონალი იცნობს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს. ყველა პირად საქმეში განთავსებულია დაწესებულების მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

1.შპს „მედსქილ ედუს ბოჭორმას მისამართზე შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის – საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და მართვითი პროცესების მხარდაჭერას. დაწესებულება აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტ ქსელით (Wi-Fi) და იყენებს თანამედროვე პროგრამულ პლატფორმებსა და საინფორმაციო სისტემებს, რომლებიც ინტეგრირებულია კოლეჯის საქმიანობის პროცესებში. დოკუმენტაციის მიხედვით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის საინფორმაციო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს თანამშრომლებისათვის უსაფრთხო წვდომას შიდა საინფორმაციო რესურსებზე, მათ შორის პროგრამულ პლატფორმებსა და ელექტრონულ ფოსტაზე. მონაცემთა მართვის მიზნით გამოიყენება როგორც კოლეჯის შიდა ინფრასტრუქტურაზე, ასევე დაცულ ღრუბლოვან (Cloud) გარემოში განთავსებული სერვერული რესურსები, ხოლო ინფორმაციულ სისტემებზე წვდომა ხორციელდება ავტორიზაციისა და უსაფრთხოების შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით. წარმოდგენილი მიდგომა უზრუნველყოფს IT ინფრასტრუქტურის შესაბამისობას კოლეჯის მიმდინარე საქმიანობის მოთხოვნებთან. რაც შეეხება დადიანის მისამართს, ვინაიდან შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, არ იყო მოწყობილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. დაწესებულების მიერ ცენტრში თავდაპირველად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გამოვლინდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, გეგმაში მითითებული იყო, რომ დაწესებულება განახორციელებდა სარემონტო სამუშაოებს და სრულად აღჭურვავდა ორივე მისამართზე არსებულ სასწავლო სივრცეს, თუმცა 5.2.1 კომპონენტის შესაბამისი ინდიკატორი შესაბამისობის გეგმაში არ იყო ასახული. აღსანიშნავია, რომ 5.2. კომპონენტი კოლეჯის მიერ თავდაპირველადაც შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

გასაუბრების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი. მათი განმარტებით, ვინაიდან 5.1.1 კომპონენტში უკვე აღწერილი იყო ინფრასტრუქტურის მოწყობის, სარემონტო სამუშაოების დასრულებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის ღონისძიებები, 5.2.1 კომპონენტის შესაბამისი ინდიკატორის ცალკე მითითება ტექნიკური მიზეზით გამორჩათ.

აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რომელშიც აღმოფხვრილია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი და მკაფიოდ არის ასახული, რომ გეგმა სრულად მოიცავს როგორც 5.2.1, ისე 5.2.2 კომპონენტების შესაბამის ინდიკატორებს.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ გამოვლენილი უზუსტობა ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ ახდენდა გავლენას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შინაარსსა და დაწესებულების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშით, გასაუბრების პროცესში მიღებული განმარტებებითა და წარმოდგენილი კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დასტურდებოდა დაწესებულების მზაობა, უზრუნველეყო შესაბამისი აქტივობების განახორციელებს დადგენილ ვადებში. შესაბამისად, კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის დირექტორის №21 ბრძანებით დამტკიცებული „ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკით“, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის უსაფრთხო ფუნქციონირების, რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, პრიორიტეტიზაციისა და მართვის ძირითად მექანიზმებს. დოკუმენტაციის მიხედვით, IT რისკების მართვის პროცესი მოიცავს ინფორმაციული სისტემების პოტენციური საფრთხეების გამოვლენას, მათი ზემოქმედების შეფასებას, რისკების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, ასევე უსაფრთხოების ღონისძიებების ეფექტიანობის პერიოდულ მონიტორინგსა და საჭიროების შემთხვევაში განახლებას. ამასთან, პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობის ამაღლებას ინფორმაციული უსაფრთხოებისა და IT რისკების საკითხებზე, რაც წარმოადგენს რისკების პრევენციის მნიშვნელოვან მექანიზმს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯში განსაზღვრული IT რისკების მართვის მექანიზმები ქმნის ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხო და უწყვეტი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საფუძველს და პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯის დირექტორის №26 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, „მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის პოლიტიკა“, „პერსონალურ მონაცემთა შენახვისა და განადგურების პოლიტიკა და ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი“, რომლებიც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვის, ხელმისაწვდომობის, განადგურებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის ძირითად პრინციპებს. კოლეჯს გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შპს „მონაცემთა დაცვის ოფიცერთან“, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საკონსულტაციო მომსახურებასა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამის მხარდაჭერას. წარმოდგენილი დოკუმენტები და განსაზღვრული პასუხისმგებლობები ქმნის პერსონალური მონაცემების დაცვის სისტემურ და ორგანიზებულ მექანიზმს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კოლეჯში შექმნილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი გარემო, რომელიც პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯის დირექტორის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვა განიხილება, როგორც ერთ-ერთი დამხმარე პროცესი, რომლის ფარგლებში ხორციელდება IT პროცესების ეფექტიანობის შეფასება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უწყვეტი გაუმჯობესება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, IT პროცესების შეფასება მოიცავს მათი შესაბამისობის დადგენას მოქმედ მარეგულირებელ აქტებთან, პროცესების შედეგიანობის შეფასებას, მტკიცებულებების ანალიზს, პერსონალის შეფასების შედეგების გამოყენებას, კვლევების ჩატარებასა და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის სისტემურ შეფასებას და მის მუდმივ განვითარებას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კოლეჯში განსაზღვრულია IT პროცესების ეფექტიანობის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, რაც შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულების დირექტორის №21 ბრძანებით დამტკიცებული „ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა" არეგულირებს კოლეჯის ინფორმაციული რესურსების გამოყენების წესს და განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და პერსონალის უფლებამოსილებას, ისარგებლონ დაწესებულების IT რესურსებით სასწავლო, პროფესიული და ადმინისტრაციული საქმიანობის ფარგლებში. დოკუმენტაციის მიხედვით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნიკა თანამშრომლებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს, გადაეცემათ დროებით სარგებლობაში მათი საქმიანობის პერიოდში. ასევე განსაზღვრულია, რომ კოლეჯის საინფორმაციო რესურსები გამოიყენება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, ხოლო თითოეული მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი რეგულაციები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის IT ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობას, ასევე მათი გამოყენების ერთიან და უსაფრთხო წესს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.** კოლეჯის დირექტორის №20 ბრძანებით დამტკიცებულია „ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმის დებულება", რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთიანი ელექტრონული კომუნიკაციის სისტემას. დებულების მიზანია ინფორმაციის დროული გავრცელება, კომუნიკაციის ეფექტიანობის უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერა. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ კოლეჯი კომუნიკაციისთვის იყენებს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ელექტრონულ პლატფორმას. კერძოდ, Slack გამოიყენება ყოველდღიური შიდა კომუნიკაციისთვის, LMS უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის, სასწავლო მასალების, შეფასებებისა და შეტყობინებების მართვას, Zoom გამოიყენება ონლაინ ლექციებისა და შეხვედრების ჩასატარებლად, ხოლო საერთო კორპორაციული ელექტრონული ფოსტის სისტემა წარმოადგენს ოფიციალური მიმოწერის ძირითად არხს როგორც კოლეჯის პერსონალთან, ისე პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. წარმოდგენილი მექანიზმები უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ გავრცელებას, კომუნიკაციის უწყვეტობასა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კოლეჯში დანერგილი ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმი ხელს უწყობს ინფორმაციის ეფექტიან გაცვლას, სასწავლო პროცესის მხარდაჭერასა და დაინტერესებულ მხარეებთან ოპერატიულ კომუნიკაციას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- შპს “მედსქილ ედუს” დირექტორის ბრძანება N 21. 24/04/2026 დამტკიცებული “ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა”;
- შპს “მედსქილ ედუს” დირექტორის ბრძანება N 26. 24/04/2026 დამტკიცებული:”პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა”;
- “მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის პოლიტიკა”;
- ”პერსონალ ურ მონაცემთა შენახვისა და განადგურების პოლიტიკა და ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი”,;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- კორექტირებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან/კომპანიასთან;
- შპს “მედსქილ ედუს” დირექტორის ბრძანება N 12. 24/04/2926 დამტკიცებული“ხარისხის მართვის პოლიტიკა”;
- შპს “მედსქილ ედუს” დირექტორის ბრძანება N 21. 24/04/2026 დამტკიცებული “ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა”;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს “მედსქილ ედუს” დირექტორის ბრძანება N20. 24/04/2026 დამტკიცებული “ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმის დებულება”;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები;

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1.შპს „მედსქილ ედუს“ დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №22 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „საქმისწარმოების წესი“, რომელიც არეგულირებს დაწესებულებაში საქმისწარმოების ორგანიზებას, დოკუმენტბრუნვის პროცესს, დოკუმენტების რეგისტრაციის, დამუშავების, სისტემატიზაციის, შენახვისა და არქივირების წესს. დოკუმენტით განსაზღვრულია როგორც შემოსული, ასევე გასული დოკუმენტაციის მართვის პროცედურები, დოკუმენტების მოძრაობის ეტაპები, პასუხისმგებელი პირების ფუნქციები და დოკუმენტების აღრიცხვის ერთიანი წესი. ამასთან, რეგულირებულია დოკუმენტების კლასიფიკაცია, მათ შორის განსაზღვრულია ის დოკუმენტები, რომლებიც არ ექვემდებარება რეგისტრაციას (მაგ.: სარეკლამო მასალები, პერიოდული გამოცემები, მოსაწვევები და სხვა), რაც უზრუნველყოფს საქმისწარმოების პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. ექსპერტთა ვიზიტის დროს საქმისწარმოება მიმდინარეობდა მხოლოდ მატერიალური სახით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის „საქმისწარმოების წესი“ ითვალისწინებს როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში დოკუმენტბრუნვის განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მიმდინარე ეტაპზე დაწესებულება საქმისწარმოებას ძირითადად მატერიალური ფორმით ახორციელებს, თუმცა წარმოდგენილია დირექტორის 2026 წლის 4 მაისის №30 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის თანახმადაც დაწესებულება არაუგვიანეს 2026 წლის 1 ოქტომბრისა დანერგავს ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმისწარმოების სისტემას (E-flow). ამასთან, დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ ელექტრონული სისტემის ამოქმედების შემდეგ შემოსული კორესპონდენცია რეგისტრირდება E-flow სისტემაში, ხოლო მატერიალური ფორმით მიღებული დოკუმენტები სისტემაში აიტვირთება შესაბამისი პროცედურის დაცვით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დოკუმენტების ერთიან აღრიცხვას, კვალვადობასა და ეფექტიან მართვას. პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა არა E-flow სისტემის პრაქტიკული გამოყენება, არამედ მისი დანერგვისთვის არსებული სამართლებრივი, ორგანიზაციული და დროითი წინაპირობები. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ადასტურებს, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კონკრეტული ვადები და ღონისძიებები ელექტრონული საქმისწარმოების სრულფასოვნადდანერგვისთვის.ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს აღნიშნულ ვადაში არსებული შესაბამობის აღმოფხვრას. შესაბამისად, **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

3.შპს „მედსქილ ედუს“ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემების ადმინისტრირების ვალდებულება ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ წარმოიშობა. კოლეჯი ადასტურებს მზადყოფნას, კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს სისტემაში სრული, სანდო და დროულად განახლებული ინფორმაციის ასახვა, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული სტუდენტების, პერსონალისა და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული მონაცემების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პირველადი ავტორიზაციის პირობებში წარმოდგენილი ვალდებულებები და დაგეგმილი პროცესები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს „მედსქილ ედუს“ „საქმისწარმოების წესით“ განსაზღვრულია კორესპონდენციის დამუშავების, ოფიციალური წერილების მომზადებისა და შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის წესი. რეგულაცია ითვალისწინებს სახელმწიფო უწყებებიდან მიღებულ კორესპონდენციაზე რეაგირების, პასუხების მომზადებისა და ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიწოდების პროცედურებს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს კოლეჯის მხრიდან საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებთან ეფექტიან კომუნიკაციასა და ანგარიშგების პროცესის ორგანიზებულად წარმართვას. ვინაიდან დაწესებულება პირველადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ეტაპზეა, შეფასდა შესაბამისი პროცესების მარეგულირებელი საფუძვლები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №22 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდი, რომლებიც გამოიყენება დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და კოლეჯის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს ინფორმაციის გავრცელების ძირითად პრინციპებს, პასუხისმგებელ პირებსა და გამოყენებულ საკომუნიკაციო არხებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი მოიცავს კოლეჯის საქმიანობისთვის მნიშვნელოვან მონაცემებს, მათ შორის ინფორმაციას დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების, ორგანიზაციული სტრუქტურის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამების კატალოგის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტებისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ. ამასთან, ვებგვერდის სტრუქტურა წარმოდგენილია ლოგიკურად და თემატურად დალაგებული რუბრიკებით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მარტივად მოძიებას. დოკუმენტაციის მიხედვით, სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდი გამოიყენება მიმდინარე სიახლეების, აქტივობების, მიღების პროცესის, დაგეგმილი ღონისძიებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ოპერატიულად გასავრცელებლად, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეებთან ორმხრივ კომუნიკაციას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი საკომუნიკაციო მექანიზმები პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს და ქმნის საზოგადოების დროული და ინფორმირების საფუძველს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მისია, სტრატეგიული დოკუმენტები და ვებგვერდი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯის მისიაში საერთაშორისო თანამშრომლობა განსაზღვრული არ არის, როგორც სტრატეგიული პრიორიტეტი, ხოლო დაწესებულება ამ ეტაპზე არ ახორციელებს უცხოენოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. შესაბამისად, კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი წარმოდგენილია ქართულ ენაზე, რაც შეესაბამება დაწესებულების საქმიანობის მასშტაბსა და კომპონენტის მოთხოვნას.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესით განსაზღვრულია ინფორმაციის საჯარო გავრცელების პრინციპები. რეგულაციის თანახმად, კოლეჯის მიერ გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, სანდო, სრულყოფილი და შეესაბამებოდეს დაწესებულებაში არსებულ რეალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მდგომარეობას. ასევე განსაზღვრულია, რომ საჯაროდ გავრცელებამდე ინფორმაცია მოწმდება პასუხისმგებელი პირების მიერ, რაც ამცირებს არაზუსტი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელების რისკს. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც ოფიციალურ ვებგვერდზე, ისე პროგრამების კატალოგში. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს პროგრამების ძირითად მახასიათებლებს, მიღების პირობებსა და სხვა მნიშვნელოვან მონაცემებს, რაც დაინტერესებულ პირებს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას აძლევს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი რეგულაციები და პრაქტიკული მექანიზმები უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის სანდო, გადამოწმებული და აქტუალური ინფორმაციისხელმისაწვდომობას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (ანონსი) ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს. კატალოგი შეიცავს ინფორმაციას პროგრამის სახელწოდების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის ხანგრძლივობის, კრედიტების რაოდენობისა და სხვა არსებითი მახასიათებლების შესახებ, რაც დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს გაეცნონ კოლეჯის საგანმანათლებლო შეთავაზებას. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს იმ გარემოებას, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამების კატალოგის პერიოდული განახლების ვალდებულება. თვითშეფასების მიხედვით, კატალოგი განახლდება ყოველწლიურად, ასევე პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის აქტუალურობასა და სანდოობას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამების კატალოგი ეფექტიანად ასრულებს საინფორმაციო რესურსის ფუნქციას და ხელს უწყობს პროფესიული განათლებისხელმისაწვდომობისზრდას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამების კატალოგის განახლების წესი, რომლის შესაბამისად კატალოგი გადაიხედება ყოველწლიურად და ასევე ყოველ ჯერზე, როდესაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდება ცვლილება. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მუდმივად შეესაბამებოდეს პროგრამების მოქმედ რედაქციას და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ აქტუალური მონაცემები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამების კატალოგის განახლების პროცესი დაგეგმილია სისტემურად და პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნას. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.** კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №23 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“ ითვალისწინებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით მიღებული ინფორმაციის, შეკითხვების, წინადადებებისა და უკუკავშირის სისტემატურ შეგროვებასა და ანალიზს. რეგულაციით განსაზღვრულია, რომ მიღებული შედეგები გამოიყენება კოლეჯის საქმიანობის, საინფორმაციო რესურსებისა და კომუნიკაციის პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.
დადებითად ფასდება ის გარემოება, კოლეჯი გეგმავს ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვებისა (FAQ) და შესაბამისი პასუხების განთავსებას ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც დამატებით შეუწყობს ხელს დაინტერესებული პირების ინფორმირებულობის გაზრდასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ამასთან, უკუკავშირის შედეგების პერიოდული ანალიზი განიხილება ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ ინსტრუმენტად, რაც შეესაბამება უწყვეტი განვითარების პრინციპს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში უკუკავშირის გამოყენების დაგეგმილი მექანიზმები ქმნის საფუძველს კომუნიკაციის ეფექტიანობის შეფასებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

**ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №23 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
- შპს „მედსქილ ედუს“ ოფიციალური ვებგვერდი;
- შპს „მედსქილ ედუს“ ოფიციალური Facebook გვერდი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (ანონსი);
- ვებგვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაცია;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.3 ფინანსური რესურსები**

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რომელსაც ადასტურებს დაწესებულების მიერ პროფესიული პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი და ძირითადი ბიუჯეტი. აკადემიის ბიუჯეტში მოცემულია შემოსავლის შემდეგი წყაროები დამფუძნებლის კონტრიბუცია, მოკლევადიანი პროგრამების დაფინანსება და ვაუჩერული დაფინანსება ავტორიზციის მოპოვების შემდგომ.დათვლილია შემოსავლები და ხარჯები, რომლის მიხედვითაც ფინანსურად მდგრადია. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან კომუნიკაციით დადასტურებულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.შპს "მედსქილ ედუს" დირექტორის ბრძანება N24. 24/04/2026 დამტკიცებული "ფინანსურ შედეგებზე რეაგირება", რომლის შესაბამისადაც კოლეჯში საოპერაციო ხარჯების დაფარვა სრულად უზრუნველყოფილია წინასწარ დაგეგმილი ფინანსური რესურსებით. ფინანსური მენეჯმენტი ეფუძნება ეფექტურ დაგეგმვასა და სტრატეგიულ მიდგომას, რაც საშუალებას იძლევა ადმინისტრაციული, ტექნიკური და ხვა სახის აუცილებელი ხარჯების მუდმივად დაფარვას. ბიუჯეტი შედგება ისე, რომ ყველა მიმდინარე და მოსალოდნელი საჭიროება გათვალისწინებული იყოს, ხოლო ფინანსური რეზერვების შექმნა დამატებით გარანტიას იძლევა კოლეჯის საქმიანობის უწყვეტობისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკური რესურსების რაციონალურ და მიზნობრივ გამოყენებას. ეს გვაძლევს საშუალებას, რომ ყოველდღიური ოპერაციები განხორციელდეს შეუფერხებლად, ხოლო საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი და სტრუქტურული მდგრადობა იყოს დაცული.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შპს "მედსქილ ედუს" დირექტორის ბრძანება N24. 24/04/2026 დამტკიცებული "ფინანსურ შედეგებზე რეაგირება", რომლის შესაბამისადაც, კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს ფინანსური შედეგების ანალიზს, რაც მოიცავს:

ა) შემოსავლის და ხარჯების სტრუქტურის ანალიზს – ძირითადი შემოსავლის წყაროების და ხარჯვითი სტრუქტურის შეფასებას;

ბ) მოგების მარჟების და მომგებიანობის მაჩვენებლების შეფასებას – როგორ იცვლება კოლეჯის მოგება, რა გავლენას ახდენს საბაზრო გარემო და შიდა ოპერაციები;

გ) ნაღდი ფულის მოძრაობის კონტროლს – ოპერაციული, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ნაღდი ფულის ნაკადების ანალიზს;

დ) ფინანსური კოეფიციენტების შეფასებას – მედსქილის ინვესტიციების ეფექტურობის გასაზომად.

შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შპს "მედსქილ ედუს" დირექტორის ბრძანება N24. 24/04/2026 დამტკიცებული "ფინანსურ შედეგებზე რეაგირება", რომლის შესაბამისადაც, ფინანსური რისკების პრევენცია და მართვა მოიცავს:
ა) ხარჯების ოპტიმიზაციის სტრატეგიების შემუშავებასა და დანერგვას; ბ) კრიზისული სიტუაციების მართვის გეგმების შექმნას და დროულ განხორციელებას;
გ) ნეგატიური ფინანსური შედეგების შემთხვევაში რეაგირებას.
თუ კოლეჯს აქვს ფინანსური შედეგების გაუარესების ტენდენცია, უნდა განხორციელდეს:
ა) სასწრაფო ანალიზი პრობლემის გამომწვევი მიზეზების დასადგენად;
ბ) ფულადი ნაკადების მართვის მექანიზმების გაუმჯობესება – არამომგებიანი პროექტების ოპტიმიზაცია, გადახდების გადავადება, კრედიტორებთან მოლაპარაკებები;
გ) ხარჯების შემცირება სტრატეგიული განვითარებისა და ბიზნესის ეფექტიანობის კომპრომისის გარეშე.
თუ კოლეჯს აქვს ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესება, უნდა განხორციელდეს:
ა) ინვესტირება ზრდის მიმართულებით – ახალი მიმართულებების ათვისება, ბიზნესის გაფართოება, დამატებითი კაპიტალდაბანდება.
ბ) თანამშრომლების მოტივაციის და კომპენსაციის გაუმჯობესება – ბონუსების სისტემა, ახალი სარგებლის დანერგვა. შესაბმისად, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *წარმოდგენილი ინსტიტუციის საპროგნოზო ბიუჯეტი;*
- *ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული*
- *ფინანსური ანგარიშები;*
- *შპს "მედსქილ ედუს" დირექტორის ბრძანება N24. 24/04/2026 დამტკიცებული "ფინანსურ შედეგებზე რეაგირება";*
- *პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

*ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საექთნო განათლება |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0913 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | დირექტორის ბრძანება N 29. 24/04/2026 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი; ცოტნე დადიანის ქუჩა N30; ბოჭორმას ქუჩა N16 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 500 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 210 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**დასაბუთება**

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

***ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☐ შესაბამება<br>■ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☐ შესაბამება<br>■ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☐ შესაბამება<br>■ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☐ შესაბამება<br>■ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

## IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

#### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ[illegible]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. მედსქილის მისიაა მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სამედიცინო პერსონალის მომზადება ინოვაციური, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების გზით. კოლეჯი მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სისტემაში მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის კარიერულ ზრდასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კეთილდღეობაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება"დამატების გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაანალიზებულია პროგრამის შესაბამისობა კოლეჯის მისიასთან, რომელიც ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სამედიცინო პერსონალის მომზადებაზე ინოვაციური და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების გზით.

პროგრამა სრულ თანხვედრაშია პსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რაც გულისხმობს პროფესიული განათლების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას და მათი კარიერული ზრდის ხელშეწყობას. აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე ასახავს კოლეჯის პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის შინაარსის აქტუალურობით, პრაქტიკულ კომპონენტებზე აქცენტით და დასაქმებაზე ორიენტირებული შედეგებით. დაწესებულებას ჩატარებული აქვს საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში შრომის ბაზრის კვლევა. აღნიშნული კვლევის ჩატარება მიზნად ისახავდა საექთნო განათლების მიმართულებით შეისწავლოს საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე, გამოწვევები და განვითარების ტენდენციები. ჯანდაცვის სისტემა წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სექტორს, რომლის ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პროფესიონალი და პრაქტიკულად მომზადებული საექთნო პერსონალის არსებობაზე ბოლო წლებში, როგორც ეროვნული სტატისტიკური მონაცემები, ისე სექტორული კვლევები მიუთითებს, რომ საქართველოში ექთნების რაოდენობა არ შეესაბამება არსებული საჭიროებების მასშტაბს. ამასთან, მოსახლეობის ზრდა, ქრონიკული დაავადებების გავრცელება და ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნის მატება კიდევ უფრო ზრდის საექთნო პერსონალის საჭიროებას. აღნიშნულს ემატება ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმები და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების პროცესი, რაც მოითხოვს კვალიფიციური და თანამედროვე უნარების მქონე კადრების მომზადებას.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია როგორც ეროვნული სტატისტიკური მონაცემები, ისე შრომის ბაზრის კვლევები, სტრატეგიული დოკუმენტები და დასაქმების პლატფორმებზე არსებული ვაკანსიები, რაც უზრუნველყოფს საკითხის კომპლექსურ შეფასებას. აღნიშნული ანალიზი მიზნად ისახავს დაადგინოს, რამდენად შეესაბამება საექთნო განათლების პროგრამა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და რამდენად მნიშვნელოვანია მისი განვითარება პროფესიული განათლების სისტემაში. საქართველოში საექთნო განათლების შრომის ბაზრის კვლევა აჩვენებს, რომ საექთნო განათლებას ნამდვილად სჭირდება გაძლიერება და პოპულარიზაცია. საქსტატის ბოლო მონაცემებით, საქართველოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექიმების რაოდენობა დაახლოებით 24 ათასი, ხოლო საექთნო პერსონალის რაოდენობა 21 ათასია, რაც მიუთითებს, რომ ქვეყანაში ექიმებთან შედარებით ექთნების რაოდენობა არასაკმარისია.
არსებული კვლევები და სექტორული ანგარიშები ხაზს უსვამს, რომ საქართველოში ჯანდაცვის სისტემაში არსებობს ექთნების დეფიციტი. Galt & Taggart-ის ჯანდაცვის სექტორის მიმოხილვის მიხედვით, საქართველოში ერთ ექიმზე დაახლოებით 1 ექთანი მოდის, მაშინ როცა ევროპულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2-5 ექთანია ერთ ექიმზე. საქსტატის მონაცემები აჩვენებს, რომ ჯანდაცვის სექტორი ქვეყანაში წარმოადგენს მნიშვნელოვან და მუდმივად მზარდ სფეროს, სადაც დასაქმების მოცულობა მაღალია და მოსახლეობის ჯანმრთელობის საჭიროებებიდან გამომდინარე მოთხოვნა სტაბილურად იზრდება. ამავე დროს, არსებული კვლევები მიუთითებს, რომ ექიმებთან შედარებით ექთნების რაოდენობა საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც პირდაპირ მიუთითებს კადრების დეფიციტზე. მაგალითად, კვლევების მიხედვით, საქართველოში ექთნების რაოდენობა უნდა გაიზარდოს დაახლოებით ორჯერ, რათა მიაღწიოს ევროპულ დონეს, ხოლო ექთანი/ექიმის თანაფარდობა ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ევროპაში . ასევე, WHO-ის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში დაახლოებით 595 ექთანი მოდის 100,000 მოსახლეზე, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მიზანშეწონილობიდან ნათლად ჩანს რომ ეროვნულ დონეზე კვალიფიკციური კადრების დეფიციტი კვლავ აქტუალურია, მრავლად არის კურსდამთავრებულთა გადინება უცხოურ ქვეყნებში, რაც მეტად ამცირებს სამუშაო ძალის რაოდენობას.
დამსაქმებელთა უმეტესი ნაწილი აღნიშნავს, რომ  პროგრამის კურსდამთავრებულთა გარკვეული ბაზა შეიქმნა, თუმცა მათი მომზადების დონე არ არის შესაბამისი და საკმარისი კლინიკებში არსებული სტანდარტებისა.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რომელიც სრულად შესაბამისობაშია, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან „საექთნო განათლება“/ Nursing სარეგისტრაციო ნომრით 09109-პ ; რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „შპს „მედსქილ ედუ“-ს სასწავლო პროცესის მართვის დამტკიცების თაობაზე” შპს „მედსქილ ედუ“-ს დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის ბრძანებით N 07 დამტკიცებული წესის პირველი თავის შესაბამისად. კოლეჯის მიერ შეფასება უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებითა და აპლიკანტთან მოტივაციური გასაუბრებით. მოტივაციური გასაუბრების შეფასების ინდიკატორები და შესაბამისი ქულები განისაზღვრება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი ბაზის მიერ vet.emis.ge დადგენილი წესით, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ შემუშავებული მოტივაციური გასაუბრების ფორმის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შპს „მედსქილ ედუს“ დირექტორის N 28. 24/04/2026 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსზაღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა ;A გარემო-თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე; B გარემო-კომპიუტერული კლასი; C გარემო-პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე;მოდულის/პროგრამის განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო იყოს ორი ან სამი ტიპის გარემო ერთად, ამ შემთხვევაში დაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნას თითოეული გარემოს შესაძლებლობა/გამტარობა. დისტანციური სწავლების შესაძლებლობა; ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა; ბიბლიოთეკის რესურსის საკმარისობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა; ადამიანური და მატერიალური რესურსების საკმარისობა და სხვა. შპს “მედსქილ ედუს” პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ მოთხოვნილია 500 პროფესიული სტუდენტის ადგილი ორ მისამართზე: დადიანის მისამართი - 240 სტუდენტი და ბოჭორმას მისამართი - 260 სტუდენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დისტანციური სწავლების შესაძლებლობას, შესაბამისად, 180 პროფესიული სტუდენტისათვის ორივე კამპუსის ფარგლებში სწავლა განხორციელდება დისტანცურად.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პროფესიულ საგანმანათელბლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის. ასევე ყველა დაინტერესებული პირებისათვის. დაწესებულების მიერ სრულად გაციფრულებულია სასწავლო რესურსი და ატვირთულია ვებ.გვერდზე ღია წვდომით.
(https://docs.google.com/spreadsheets/d/1khwglDJwhbUema40aCWwlbEeyiRNGtj-/edit?gid=2141649316#gid=2141649316 )

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “საექთნო განათლება” არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დაწესებულების დირექტორის N09. 24/04/2026 ბრძანებით დამტკიცებული "სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების" შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საექთნო განათლება" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის N29 ბრძანებით.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. შპს "მედსქილ ედუს" მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება "საექთნო განათლება" მიემართება "საექთნო განათლების" სარეგისტრაციო ნომრით 09109-პ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციას და დასახელებას, შესაბამისად არ არის შეცდომაში შემყვანი
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საექთნო განათლება" ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს "საექთნო განათლება" სარეგისტრაციო ნომრით 09109-პ. პროგრამა შემუშავებულია კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნების, შპს "მედსქილ ედუს""პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესისა" და პროფესიული საგანამნათლებლო სტანდარტი"საექთნო განათლება" შესაბამისად. პროგრამის შემადგენელი ნაწილებია: ძირითადი დოკუმენტი; მოდულები; სასწავლო გეგმა/სასწავლო გეგმები; პროგრამის მატერიალური რესურსები. პროგრამის შემუშავების პროცესში ასევე განისაზღვრება: ა. პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი; ბ. პროგრამის განხორციელების ბიუჯეტი; გ. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული/გასაფორმებელი ხელშეკრულებები/შეთანხმებები. პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განისაზღვრება პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდები, შეფასების მიდგომები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამის მზიანშეწონილობის დასაბუთება.
- შპს „მედსქილ ედუს“ „სასაწავლო პროცესის მართვის“ წესი ბრძანება (N 07. 24/04/2026 )
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ( ბრძანება N 28. 24/04/2026);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება.
- შპს "მედსქილ ედუს" ელექტრონული ბიბლიოთეკა.
- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დირექტორის ბრძანება N 29. 24/04/2026;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შპს "მედსქილ ედუს" დირექტორის ბრძანებით N 30 04/05/2026 დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის შესაბამისადაც დაწესებულება არაუგვიანეს 2026 წლის 01(პირველი) ოქტომბრისა, უზურნველყოფს პროგრამისათვის განსაზღვრული აუდიტორიების აღჭურვას შესაბამისი რესურსით ორივე მისამართზე. დადიანის ქ. N 30-ში (240 სტუდენტი) შემდეგი პრინციპით: აღნიშნულ ფართში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილი იქნება A სასწავლო გარემოს 5 აუდიტორია (25 სტუდენტზე გათვლილი); 1 AB - გარემოს აუდიტორია (25 სტუდენტზე გათვლილი) და 2A სასწავლო გარემოს აუდიტორია (20 სტუდენტზე გათვლილი). აღნიშნულიდან გამომდინარე, 160 პროფესიული სტუდენტისათვის სწავლება განხორციელდება დასწრებულ რეჟიმში ორ ცვლაში, ხოლო 80 პროფესიული სტუდენტისთვის - დისტანციურ რეჟიმში - შესაბმისი პლათფორმის გამოყენებით. ექპერტთა ვიზიტი განხორციელდა დადიანის მისამართზე სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, თუმცა სივრცეები გამიჯნული იყო და განსაზღვრული მიზნობრივი აუდიტორიების მოწყობისთვის.

ბოჭორმის ქ. N16-ში (260 სტუდენტი) არსებულ მისამართზე ვიზიტისას უკვე გადანაწილებული იყო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა/რესურსები შესაბამის სივრცეებში. კოლეჯში მიიღწევა თეორიული სწავლის შედეგები, რომლისთვისაც განსაზღვრულია A/B გარემოები. დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის ბოჭორმას N16-ში არსებული მისამართზე გამოყოფილი აქვს ორი A სასწავლო გარემო, რომელიც გათვლისწინებულია 40 პროფესიულ სტუდენტზე და ერთი AB გარემო - 40 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი. A სასწავლო გარემოში განთავსდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ინვენტარი/აღჭურვილობა შესაბამისი რაოდენობით. პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდა და სკამი -40 ცალი; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1; პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1 ცალი ; დემონსტრირების ციფრული საშუალება/ჭკვიანი დაფა - 1 ცალი. AB სასწავლო გარემოში განთავსდება: პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდა და სკამი - 40 ცალი; პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1 ცალი; პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 40 ცალი; დემონსტრირების ციფრული საშუალება/ჭკვიანი დაფა - 1 ცალი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დისტანციური სწავლების შესაძლებლობას, შესაბამისად, 160 პროფესიული სტუდენტისათვის სწავლება განხორციელდება კონტაქტურ რეჟიმში ორ ცვლაში, ხოლო 100 პროფესიული სტუდენტისთვის - დისტანციურ რეჟიმში. დაწესებულება გეგმავს კონტაქტურად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ თეორიული კომპონენტი, ხოლო პრაქტიკული სწავლებისათვის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის ობიექტებთან ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლების მექანიზმები, ასევე წარმოდგენილია ელექტრონული პლათფორმის ლიცენზირებული ექაუნთები. (იხილეთ. 2.4.1.3 ინდიკატორი)

შპს "მედსქილ ედუს" გაფორმებული აქვს ექსკლუზიური თანამშრომლობის ხელშეკრულება სს „ ვიანი „ – (ჯანდაცვის საზოგადოება) -თან, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობით განსაზღვრული 500 სტუდენტის მიღებასა და გადანაწილებას პრაქტიკული/კლინიკური მოდულების განხორციელების ფარგლებში სს ვიანი" - ის კლინიკურ ბაზებზე. ურთიერთთანამშრომლობის ექსკლუზიურიბა მდგომარეობს იმაში, რომ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, პროფესიული საგანმანათელბლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში, ითანამშრომლოს სხვა ორგანიზაციასთან. ის კლინიკები, რომლებიც უკვე თანამშრომლობენ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მილევად რეჟიმში დაასრულებენ სასწავლო პროცესს და ახალი ნაკადის მიღება აღარ განხორციელდება.

ეს კნილიკებია:

ა) „შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი თბილისი, პ.ქავთარაძის ქ., N23 ;

ბ) . სს „ვიანი" - ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, თბილისი, ქინძმარაულის I შესახვევი., N1;

გ) სს „ვიანი" - მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო თბილისი, ლუბლიანას ქუჩა #2/6;

დ). სს "ვიანი" - კარაპს მედლაინი თბილისი, ლუბლიანის ქუჩა №48;

ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა „შპს კავკასიის მედიცინის ცენტრში და ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა კლინიკების ადმინისტრაციასა და პრაქტიკის განხორციელების მიზნებისათვის გამოყოფილ ინსტრუქტორებს, აღსანიშნავია, რომ უმეტეს მათგანს უკვე აქვს პროფესიული სწავლების გამოცდილება, იციან სწავლებისა და შეფასების მიდგომები. რაც შეეხება პრაქტიკული აქტივობების საკითხებს და სტუდენტის მიერ პრაქტიკული სამუშაოს დადასტურებას, პრაქტიკის ობიექტებს აქვთ შემუშავებული საექთნო პრაქტიკის პროტოკოლები და შესრულების ჩეკ-ლისტები (პრაქტიკის დღიური). პროფესიული სტუდენტის შეფასება განხორციელდება ადგილზე რეალურ გარემოში. ინსტრუქტორებმა აღნიშნეს, რომ მოთხოვნის შემთვევაში კლინიკა უზრუნველყოფს, სასწავლო განრიგის მორგებას პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე. კლინიკების ბაზებზე მოწყობილია C გარემოები მოდულების ,,შინმოვლა „ და ,,ავადმოვლა" განხორციელებისათვის. სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი სიმულატუროებითა და მატერიალური რესურით, ასევე გამოყოფილია A გარემოები თეორიული სწავლებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯმა წარმოადგინა დამატებითი სამმხრივი ხელშეკრულებები, ვინაიდან ჯანდაცვის საზოგადოებიის ქსელში (სს ვიანი) ქვემოთ წარმოდგენილი კლინიკები სხვადასხვა იურიდიულ პირს წარმოადგენენ სს „ვიანი“ -ს აქვს სამხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებები შემდეგ კლინიკებთან:

1. სს "საქართველოს კლინიკები"- ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკი, თბილისი, 21 ლუბლიანას ქუჩა -( 500 პროფესიული სტუდენტი)

2.. შპს „თბილისის ფსიქუკური ჯანმრთელობის ცენტრი - (200 პროფესიული სტუდენტი);

3. შპს "ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" -( 500 პროფესიული სტუდენტი). წარმოდგენილია შემდეგი საწოლფონდით : 110 მწვავე ფსიქიატრიული სტაციონარული მიმართულება, 47 საწოლი ადიქციის მიმართულება, 44 საწოლი რეაბილიტაცია, ასევე ამბულატოტრიული მომსახურების ცენტრი), დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ ადმინისტრაციას, მაღ მიერ დასტურდება კლინიკის შესაძლებლობების ფარგლებში მათ მიერ ამ ეტაპზე არსებული ადამიანური რესურსების /განმახორციელებლების უზრუნველყოფა - 20 პრაქტიკის ინსტრუქტორი, თუმცა დაგეგმილია ინსტრუქტორთა რაოდენობის გაზრდა და მათი გადამზადება შპს „მედიქალ ედუს“ -ს ჩართულობით. ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან ყველა სამედიცინო დაწესებულებაში ვიზიტისას დაფიქსირდა საექთნო პერსონალის მაღალი მოთხოვნა და შესაბამისად მზაობა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულობისთვის.

**დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის, საკითხის ადგილზე შესწავლის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინდიკატორი შეაფასა როგორც *მეტწილად შესაბამისი* სტანდარტის მოთხვონებთან.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 61 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 24 ახორციელებს ზოგად მოდულებს, მათ შორის ქართული ენის მოდულები, ხოლო 37 პროფესიულ მოდულებს (გარდა პრაქტიკის ინსტრუქტორებისა). მათი საათობრივი დატვირთვა არ აღემატება საქართველოს ორგანული კანონით - შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ[signature]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს და აკმაყოფილებენ შესაბამისი პოზიციებისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირადი საქმეების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით აუცილებელ პროფესიულ, დარგობრივ და პედაგოგიურ კომპეტენციებს. მათი პროფესიული გამოცდილება, კვალიფიკაცია და პრაქტიკული საქმიანობა შესაბამისობაშია პროგრამის მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას. ვინაიდან დაწესებულება გეგმავს პროგრამა განახორციელოს ჰიბრიდულ რეჟიმში, ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა მათი მზაობა და ციფრული პლატფორმების გამოყენების გამოცდილება. გასაუბრებით დადგინდა რომ უმეტეს მათგანს ჰქონია დისტანციური პლატფორმების გამოყენებას გამოცდილება.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი სრულ შესაბამისობაშია მოქმედი შრომის კანონმდებლობით განსაზღვრულ არსებით მოთხოვნებთან. ხელშეკრულებებით მკაფიოდ არის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა ფუნქციური მოვალეობები, პასუხისმგებლობები და ის მოდულები, რომელთა განხორციელებაზეც ისინი იქნებიან პასუხისმგებელნი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ გამართულობასა და აკადემიური პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს „მედსქილ ედუს“ დირექტორის ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ პროგრამის ხელმძღვანელი. შესაბამისი დარგობრივი ცოდნა, უნარები და კომპეტენცია მას უდასტურდება სფეროს მიმართულებით სამუშაო გამოცდილებითა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით. პროგრამის ხელმძღვანელი წარმართავს პროგრამის სამუშაო ჯგუფის საქმიანობას, ფლობს პროგრამის დარგობრივ ხედვას, აგრეთვე შესაბამის დარგობრივ და მენეჯერულ კომპეტენციებს. იგი პასუხისმგებელია პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესების კოორდინაციაზე. პროგრამის ხელმძღვანელი აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი პირადი საქმის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ მას გააჩნია დარგის სპეციალისტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და შესაბამისი კვალიფიკაცია. ამასთანავე, მისი კომპეტენცია და თანამდებობასთან შესაბამისობა დამატებით დადასტურდა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის "საექთნო განათლება" საჭირო საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია სრულად ელექტრონული სახით. დაწესებულების ვებგვერდზე ატვირთულია გაციფრულებული სასწავლო რესურსები თავისუფალი წვდომით და ნებისმიერ პირს, შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერ ჩართულ თუ დაინტერესებულ პირს. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი" - ს შესაბამისად.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. კოლეჯის"სასწავლო პროცესის მართვა" არეგულირებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს, სსსმ/შშმ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფის მექანიზმებს.
შშმ და სსსმ პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს: ა) შშმ და სსსმ პირთათვის კოლეჯის შენობაში შესვლას პანდუსის საშულებით, ხოლო შენობაში გადაადგილებას ლიფტის გამოყენებით; ბ) ადაპტირებული სანიტარული კვანძების არსებობას; გ) კოლეჯის თანამშრომლების ინფორმირებას სსსმ და შშმ პირთა კონსულტაციისა და დახმარებისათვის, ასევე შეუფერხებელი გადაადგილებისათვის კოლეჯის ტერიტორიაზე; დ) მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შშმ და სსსმ პირის კომუნიკაციას– კონსულტაციას კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან; ე) მატერიალური რესურსებით (მათ შორის კომპიუტერითა და ინტერნეტით) შეუზღუდავ სასრგებლობას სამუშაო დღის საათებში, კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება" ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს, ყველა აუცილებელ ხარჯს, მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის
შრომის ანაზღაურებას, მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო აპლიკაციების შეძენას, სტუდენტთა აქტივობებსა და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების ხარჯები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუველყოფის გეგმა;
- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის N 29 ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
- შპს მედსქილ ედუს" "სასწავლო პროცესის მართვა";
- ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი"
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დირექტორის 24/04/2026 N12 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის მართვის პოლიტიკა", რომელიც პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში ძირითადი პროცესია, რომელიც მოიცავს, პროცესის შესაბამისობის შეფასებას მოქმედ მარეგულირებელ აქტებთან და პროცესის ეფექტიანობის შეფასებას.
პროგრამების შეფასებისათვის ხარისხის მართვის მენეჯერს შექმნილი აქვს კითხვარები დაინტერესებული მხარეებისათვის. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის შესაბამისად კი, კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, რიგი საკითხების გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალი შეიმუშავებს და ახორციელებს აქტივობებს. კოლეჯის მიერ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პრგორამის შეფასების კომპონენტს, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის დირექტორის 24/04/2026 N27 ბრძანებით დამტკიცებულია "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი" რომლის თანახმადაც , პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში: ა. კოლეჯის ინიციატივით; ბ. პროგრამის შემუშავების საფუძვლად არსებული პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ან პროგრამის შემუშავების მარეგულირებელ სხვა საკანონმდებლო აქტებში ან და სხვა ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში (მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული მიდგომით სწავლება და სხვა) მათთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით. კოლეჯის ინიციატივით საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება პროგრამის განვითარებას.
ამ მიზნით, კოლეჯის წარმომადგენელთა ინიციატივა ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს: ა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენების შედეგები, ხარისხის მართვის მენეჯერის დასკვნები და რეკომენდაციები; ბ. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების შედეგები, გარე შემფასებლების/ექსპერტების დასკვნები და რეკომენდაციები; გ. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები; დ. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების/დამსაქმებლების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგები (არსებობის შემთხვევაში); ე. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; ვ. სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ცვლილება ან ახალი ტექნოლოგიების/მიდგომების დანერგვა; ი. სხვა ნებისმიერი გარემოება, რაც მიზნად ისახავს პროგრამის განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ინიციატივით დასაშვებია პროგრამაში შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელება: ა. პროგრამის სახელწოდების ცვლილება; ბ. პროგრამის სტრუქტურის შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; გ. მისაღწევი სწავლის შედეგების შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; დ. მოდულების მე-3 ნაწილში (დამხმარე ჩანაწერები) ნებისმიერი ხასიათის ცვლილება, მათ შორის: თემატიკის გამრავალფეროვნება, სასწავლო მეთოდების შეცვლა, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლა, საათების გადანაწილება, სასწავლო რესურსის შეცვლა და სხვა; ე. პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილება; ვ. სასწავლო გეგმის ცვლილება; ზ. ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს დოკუმენტის ტექნიკურ ან რედაქციულ გამართვას ან ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან; თ. პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილება და სხვ.
ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც აუცილებლად უნდა აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში, დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულება სასწავლო პროცესის მენეჯერის ინიციატივით, დირექტორის მიერ ეგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**
**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ფარგლებში წარმოდგენილია სასწავლო გეგმა, როგორც ქართულენოვანი, ასევე არაქართულენოვანი სწავლებისათვის. გეგმაში გათვალისწინებულია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა. კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება საქართველოს ორგანული კანონს - შრომის კოდექსს. სასწავლო გეგმა შემუშავებულია აღნიშნული დარგის სეციალისტებთან ერთად, რაც განაპირობებს პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის ეფექტიან და თანმიმდევრულ განხორციელებას .

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებას მოახდენს პროფესიული სტუდენტის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, სასწავლო ცხრილების შედგენისას შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის საჭიროებებს. სასწავლო ცხრილების შედგენა მოხდება პროფესიული განათლების მასწავლებელსა და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით. დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მართვის, რომლითაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის მექანიზმები, ასევე დარეგულირებულია მოდულის სწავლის შედეგების გადაბარებისა და გასაჩივრების მექანიზმები. ვინაიდან დაწესებულებას ჯერ არ განუხორციელებია სწავლება, აღშნული ინდიკატორი მოწმდება რეგულაციისა და პასუხისმებელ პირთან გასაუბრებით.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და ინოვაციურ მეთოდებს დარგის მიმართულებით, რომელიც მაქსიმალურადაა მორგებული თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სწავლების მეთოდები დაზუსტებულია მოდულებში, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვისთვის. ვინაიდან დაწესებულება გეგმავს პროგრამის თეორიული ნაწილი განახორციელოს დისტანციური სწავლების ფორმით. დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თამ...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

24.04.2026 წლი N12 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მე-6 თავი არეგულირებს დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. შპს „მედქსილ ედუ“ - ში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოდელებით. ა)სრულად ელექტრონულად, ბ)სინქრონულად – სტუდენტები და მასწავლებლები ერთდროულად უერთდებიან ელექტრონულ პლატფორმას უნიკალური მონაცემებით და კომუნიკაციას ამყარებენ აუდიო ან ვიდეო არხებით. გ)ჰიბრიდულად – ელექტრონული (სინქრონული ან ასინქრონული) და აუდიტორული სწავლის კომბინირებული მოდელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან მისი კომპონენტების დისტანციურ რეჟიმში გადატანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც ამის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სასწავლო პროცესის დაორგანიზებას (სასწავლო გეგმის შესაბამისად ცხრილის შედეგნას, დისტანციური პლატფორმის შერჩევასა და მის გამართულობას). დისტანციური სწავლების დროს საკონტაქტო საათი შეადგენს 50 წუთს. კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, ჩატი, სადისკუსიო ფორუმები, ასევე პლატფორმები (Slack, Zoom, Google Meet და სხვა). კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის აღნიშნული პლატფორმების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას/კონსულტაციის გაწევას. პროფესიული სტუდენტები ვალდებულნი არიან იმოქმედონ კოლეჯის მიერ განსაზღვრული ცხრილით, დაიცვან რეგისტრაციის წესები და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ ვიდეო/აუდიო მოწყობილობის ჩართვა. შპს „მედსქილ ედუ“ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს თითოეული სტუდენტის ჩართულობა დისტანციურ სწავლებაში. მათ შორის, სპეციალური მხარდაჭერით ტექნიკური პრობლემების შემთხვევაში.კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის ელ. საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომას, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დავალებების მიწოდებასა და კონსულტაციების გაწევას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით (მათ შორის სატელეფონო კავშირით). საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის შპს „მედსქილ ედუ“ გამოყოფს შესაბამის სივრცეს და უზრუნველყოფს მათ სასწავლო პროცესში ჩართვას.

კოლეჯის მერ წარმოდგენილია მრავალფეროვანის ელექტორნული სასწავლო პლათფორმები. სტუდენტებს ექნება წვდომა ინტერაქტიულ სასწავლო პლატფორმებზე და ინდუსტრიის წამყვან ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებზე, რაც მათ გაუმარტივებს უნარების დაუფლებას და რეალურ სამუშაო გარემოსთან ადაპტირებას. ლექციების ჩასატარებლად გამოიყენებს Zoom-ის და სხვა თანამედროვე პლატფორმებს . დაწესებულებამ წარმოადგინა ლიცენზირებული ზუმის 43 ექაუნთი. სასწავლო მასალები და დავალებები ხელმისაწვდომი იქნება Learning Management System (LMS) პლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას და სწავლების უწყვეტობას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს „მედსქილ ედუ“ სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის“ წესი ითვალისწინებს, ინდივიუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაშინ, როდესაც:ა) გარე მობილობით (სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსული პროფესიული სტუდენტი) ან შიდა მობილობით (კოლეჯის მიერ განხორციელებული ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასული სტუდენტი) სარგებლობის შედეგად პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხება კოლეჯში და მიენიჭება სტუდენტის სტატუსი, თუმცა, მისი სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები კოლეჯის (მიმღები პროგრამის) სწავლის შედეგებისგან; ბ) საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; გ) კოლეჯის პროფესიული სტუდენტი, რომელსაც მიენიჭა სსსმ ან შშმ პირის სტატუსი და ვერ აღწევს სწავლის შედეგებს. სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, საჭიროებს მასზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას; დ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში ან პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად; ე) ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში.
აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს/ უფლებებს და სთავაზობს მათ შესაბამის სერვისებს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ განხორციელდება კოოპერაციული მიდგომით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება სს “ვიანი”-სთან. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლების წარმართვას/განხორციელებას საზოგადოების საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ფართების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გამოყენებით. ხოლო თეორიული სწავლება წარიმართება შპს “მედსქილის” მიერ მის მფლობელობაში არსებული რესურსის და ადამიანური რესურსის ხარჯზე.

აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია ექვსი წლის ვადით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. პროგრამის მხოლოდ თეორიული ნაწილი განხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, პროგრამა არ ითვალისწინებს განსაკუთრებული სპეციფიური უსაფრთხოების წესების დაცვას, პრაქტიკული სწავლების ნაწილში უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტი. პროფესიული განათლების მიღების პროცესში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მუდმივ მხარდაჭერას, აწვდის სტუდენტებს ხარისხიან განათლებას და ქმნის უსაფრთხო გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „საექთნო განათლება“ სასწავლო გეგმა;
- „სასაწავლო პროცესის მართვის“ წესი;
- ელექტორნული პლათფორმები;
- პრაქტიკის ობიექტთა გაფორმებული მემორანდუმი;
- გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შპს „მედსქილ ედუს“ „სასწავლო პროცესის მართვა“ არეგულირებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესს, რომლის მიხედვითაც შეფასება ეფუძნება, ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. ასევე, გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისთვის ძირითადი მოთხოვნები. პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას ითვალისწინებს კონკრეტული მოდულის მოთხოვნებს, როგორიც არის შეფასების მიმართულება, შეფასები დრო და ა.შ. შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების ჩატარებამდე 7 სამუშაო დღით ადრე, შესათანხმებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს. იგი შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას, როგორც შინაარსობრივი ასევე, ტექნიკური თვალსაზრისით.
სასწავლო პროცესის მენეჯერი წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს (ვალიდატორს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ შესაბამის პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან: არის თუ არა პროფესიული სტუდენტისათვის გასაგებად აღწერილი დავალება; არის თუ არა შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი; არის თუ არა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, მარტივი, მოქნილი და მიუკერძოებელი. შეფასების წესი, ასევე არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა განმეორებითი შეფასების და სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ რომელიც არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაციის მიზანია, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფა და მისი შესაბამისობა შეფასების ძირითად პრინციპებთან. ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის:ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით.
ჯგუფში შეიძლება შედიოდეს: ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით); პროფესიული განათლების მასწავლებელი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით), სხვა მოწვეული პირი (დარგის სპეციალისტი, განათლების სპეციალისტი და სხვა).
ვერიფიკაციის ჯგუფმა განსაზღვრულ ვადაში უნდა:
შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები/შეფასების პროცესის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები;
საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და სხვა ჩართულ მხარეებს;
განიხილონ გადასაწყვეტი საკითხები;
შეთანხმდნენ შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების საბოლოო კომენტარებზე;
ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევს აქვს პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური,სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორც პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს (საჭიროების შემთხვევაში). ანგარიშს ხელს აწერს პროცესზე პასუხისმგებელი და ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.შპს "მედსქილის" საასწავლო პროცესის მართვის" წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური/ელექტრონული სახით - მტკიცებულებებით. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის ხელმძღვანელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს მიღება ჩაბარების აქტით გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს სათანადო აღრიცხვის მიზნით. პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულიმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შპს „მედსქილი" განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, რაც მოიცავს სწავლის შედეგის დადასტურების ან ვერ დადასტურების მაჩვენებლებს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. წარმოდგენილი მექანიზმების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულება გეგმავს შეფასების შედეგების გამოყენებას სტუდენტთა შემდგომი განვითარების მიზნით. ასევე პროფესიული განათლების მასწავლელთა გასუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „სასაწავლო პროცესის მართვის“ წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

31.07.2026წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: